# ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

## თავი 4

# თავი 4. ადამიანის უფლებების დაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში

**თავის შესრულების პროგრესი:** 55.42% (**აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას**)

ძირითადი მიგნებები

ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-17 წლებისთვის) IV თავის მონიტორინგის შედეგები. გეგმის IV თავი ეხმიანება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით 2014-2020 წლებისთვის განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტს - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის და ყოფილ პატიმრებზე ზრუნვის მექანიზმების ჩამოყალიბება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო და სხვა სახის ცვლილებები გარკვეულწილად აუმჯობესებს პატიმრების მდგომარეობას, თუმცა დასახული მიზნის - უნივერსალური და ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა - მისაღწევად კვლავ ბევრია გასაკეთებელი. როგორც წესი, ცვლილებები არ ემყარება საკანონმდებლო ბაზის სისტემურ ანალიზსა და საჭიროებების კვლევას. უარყოფითად უნდა შეფასდეს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა.

გადატვირთულობის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები ასევე უსისტემო ხასიათს ატარებს. არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ნორმატიულ აქტებსა თუ პრაქტიკაში. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯებიც არასაკმარისია.

მისასალმებელია ინდივიდუალური მიდგომების, რისკის შეფასების და სხვა თანამედროვე მექანიზმების დანერგვა, თუმცა ეს პროცესი სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს - არ არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულების ჩართვა შეფასებისა და გადაფასების პროცესში.

პატიმართა ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია და ციხის პოპულაციის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მოიცავს.

პრობლემურ საკითხია გასაჩივრების არსებული მექანიზმების ხელმისაწვდომობა, მათი ეფექტური ფუნქციონირება და დაუსჯელობისგან დაცვის უზრუნველყოფა. ეს პრობლემები, დიდწილად, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების სიმცირეს უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, დაჩქარდეს პატიმრების საყოფაცხოვრებო პირობების, ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისა და სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფის პროცესი. ერთის მხრივ, ეს უწყვეტი პროცესია, ხოლო მეორეს მხრივ მინიმალური სტანდარტები უზრუნველყოფილი უკვე ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს. ხანგრძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის ხუთ დაწესებულებაში, რაც დისკრიმინაციული მოპყრობაა იქ განთავსებული მსჯავრდებულების მიმართ.

მსჯავრდებულთა პირადი საქმეების, სამედიცინო ბარათების და სხვა დოკუმენტაციის შენახვა იმგვარად, რომ დაცული იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის, ასევე, „პაციენტის უფლებების შესახებ" კანონის მოთხოვნები, ჯერ კიდევ არ არის სრულად უზრუნველყოფილი.

განსაკუთრებულ პრობლემად რჩება პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირთათვის შესაბამისი აქტივობებისა და სარეაბილიტაციო, დასაქმების თუ საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის საკითხი, რაც დაკავშირებულია ერთიანი პოლიტიკის,

უწყებათაშორისი კოორდინაციის არარსებობისა და სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობასთან.

პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის, თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებების შემთხვევების პრევენციისა და მათზე სათანადო რეაგირების მექანიზმები დახვეწას და სისტემურ დანერგვას საჭიროებს. ამ კუთხით, წინგადადგმული ნაბიჯია სუიციდის პროგრამის მიღება, თუმცა მისი გავლენის შეფასება, ამ ეტაპზე, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ჯანდაცვის მომსახურებების გაუმჯობესება, ისევე, როგორც სამედიცინო პერსონალის გადამზადება, უწყვეტი პროცესია, თუმცა იგი არასათანადო ინტენსივობით წარიმართება. ასევე, არ არის განსაზღვრული გეგმაზომიერი ნაბიჯები სამოქალაქო სექტორის ჯანდაცვასთან ინტეგრირებისკენ და არ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებესებისადეკვატური ზომები.

მოწყვლადი ჯგუფების უფლებების მხრივ არსებული გამოწვევები კვლავ სახეზეა. არ განხორციელებულა გეგმით გათვალისწინებული საჭიროებების კვლევები. არასათანადოდაა უზრუნველყოფილი უცხოელი პატიმრების უფლებების განხორციელებაც. ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების უფლებების გაუმჯობესების თვალსაზრისით არანაირი ღონისძიება არ არის დაგეგმილი.

მისასალმებელია არასაპატიმრო სასჯელების სპექტრის გაზრდა, თუმცა პრაქტიკაში მათ სათანადოდ დასანერგად უნდა გაიზარდოს და განვითარდეს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობები.

დადებითად უნდა აღინიშნოს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის ძალისხმევა ხარისხიანი და თანამედროვე სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგ მოდულების შეთავაზების თვალსაზრისით, თუმცა სასჯელაღსრულების სამინისტრომ, თავის მხრივ, აღნიშნული პროგრამებით ყველა მოსამსახურის მომზადება-გადამზადების პროცესი უნდა უზრუნველყოს და იმუშაოს პროფესიონალი კადრების მოზიდვა-შენარჩუნებაზე.

ზოგადი მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში, სასჯელაღსრულების სისტემაში არაერთი ცვლილების ინიცირების მიუხედავად, რომელთა მიზანი პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, დასახული მიზნის - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის შექმნის - მისაღწევად, კვლავ მრავალი გაუმჯობესებაა განსახორციელებელი.

გეგმა არ მიუთითებს, რომელი საერთაშორისო თუ ევროპული სტანდარტით იხელმძღვანელა უწყებამ ამა თუ იმ ცვლილების შემუშავებისთვის, რაც შეფასების პროცესს აძნელებს.

ე.წ. “პენიტენციური” და “სამოქალაქო” ჯანდაცვის სისტემების ინტეგრაცია და თანაბარი სტანდარტის დამკვიდრება: ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემა ევროპული ციხის წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. საქართველოში პენიტენციური და სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემები გამიჯნული ვერტიკალებია. პენიტენციური სისტემის 2011-2013 წლების ჯანდაცვის სტრატეგიის (2010 წლის 5 თებერვლის №24 - №28/ნ ერთობლივი ბრძანება) მიზანი ამ ორი სისტემის ინტეგრაცია იყო, თუმცა, სამწუხაროდ, დღეს არსებულ სამთავრობო სტრატეგიებში ეს პრიორიტეტად აღარ განიხილება. გეგმის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიღწევა არის პენიტენციურ სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების ერთეულების მოქცევა სამოქალაქო სექტორის რეგულირების ჩარჩოში (ნებართვა, სერტიფიცირება). თუმცა, ეს პროცესი შემდგომში აღარ გაღრმავებულა, რაც ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული საკითხია. პენიტენციური სისტემის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები კვლავ არიან ამ სისტემის თანამშრომლები და მათი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების საკითხი ეჭვქვეშ რჩება.

ანგარიშვალდებულების კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ხშირ შემთხვევაში, სტატისტიკური მონაცემების არარსებობა და/ან დაბალი ხარისხი. ერთი მხრივ, იკვეთება, რომ სისტემის ფარგლებში არ გროვდება მონაცემები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა დაინტერესებულ მხარეს, ემსჯელა ამა თუ იმ პროგრამის ეფექტიან განხორციელებაზე; მეორე მხრივ, შეგროვებული მონაცემები არ სისტემატიზდება სხვადასხვა ანგარიშებში, ერთი და იმავე მონაცემის შესახებ სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებელი ფიქსირდება[1].

პრაქტიკულად ანალიზს არ ექვემდებარება ინფორმაცია დანახარჯების შესახებ; ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის მიხედვით მომზადებული პროგრამული ბიუჯეტი არ არის თანხვედრაში სტრატეგიაში გაცხადებულ პრიორიტეტებთან.

---

[1] მაგალითად, პრობაციონერთა საერთო რაოდენობა 2016 წლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წლიურ ანგარიშსა და იმავე წლის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშში

სხვა რელევანტური სამოქმედო გეგმების შეფასება

ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია სხვა რელევანტური სამთავრობო გეგმები და შეფასებულია მათი დუბლირება, ეკონომიურობა და ეფექტურობა. ასევე, გამოკვეთილია მომიჯნავე სამთავრობო გეგმებში ასახული მიზნების/ამოცანების/საქმიანობის განხორციელების პროცესში კოორდინაციის საკითხები.

სამთავარობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგისას გამოიკვეთა განსაზღვრული ვადების არაგონივრულობა. უმეტეს შემთხვევაში, საქმიანობის განხორცილება სცდებოდა დადგენილს. ეს მიუთითებს სამინისტროების შიდაუწყებრივი კოორდინაციის სისუსტეზე და მთავრობის ადმინისტრაციასთან არასწორ კომუნიკაციაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015-2017 წლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ძირითადად სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოიცავს და ერთგვარად აკონკრეტებს მათ. თუმცა, სასურველი იქნებოდა, განსხვავებით სამთავრობო სამოქმედო გეგმისა, სამინისტროს სამოქმედო გეგმა მეტად კონრეტული ყოფილიყო და ფოკუსირება მოეხდინა ინსტიტუციური განვითარების საკითხებზე.

ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმაში არ განსაზღვრავს ცალკეული მიზნისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო (მაგ., დონორთა) რესურსის ოდენობას. სამინისტროს სამოქმედო გეგმა და პროგრამული ბიუჯეტი არ არის თანხვედრაში. შესაბამისად, ცალკე კვლევის გარეშე, შეუძლებელია, ითქვას, არსებობს თუ არა, ამ ორ გეგმას შორის ფინანსური გადაფარვა/დუბლირება.

ბუნდოვანი რჩება ორ სამოქმედო გეგმას შორის არსებული განსხვავებები განხორციელების ვადებსა და მოცულობებს შორის. მაგალითად, ერთი მხრივ, სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო სამინისტროს სტრატეგიაში განსაზღვრული საქმიანობა უფრო მასშტაბურია და მოიცავს 2017 წლისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებას ექიმებისა და ექთნებისთვის (თუმცა სასურველი იქნებოდა გათვალისწინებულიყო არასამედიცინო კადრის უწყვეტი/პერიოდული გადამზადებაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, პერსონალური დაცვის აღჭურვილობის, პაციენტთა უფლებებისა და სხვა რელევანტურ საკითხებში).

მეორე მხრივ, სამინისტროს გეგმის ნაწილში შემცირებულია იმ ღონისძიებების მოცულობა, რასაც სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს წამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობა/რეაბილიტაციის კუთხით: სამინისტროს გეგმა მიზნად ისახავს მხოლოდ გრძელვადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის დანერგვას, მაშინ, როცა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებლების (არა მხოლოდ ოპიატების) მკურნალობაც.

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სამინისტროს გეგმაში საერთოდ არ არის ასახული ფსიქიატრიული მოვლის სისტემის გაუმჯობესება, გარდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურებისა მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა გარკვეული ჯგუფისთვის.

გარდა ზემოთ მითითებულისა, ანგარიშის მომზადებისას განხილული იქნა სხვა რელევანტური დოკუმენტებიც[1], რომლებიც გარკვეულ სპეციფიკურ მიმართულებებს არეგულირებს.

---

[1] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020" რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა 2014-2020 წლებში მიზნად ისახავს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, ჯანდაცვის ადამიანური რესურსის მიმართულებით, რაც გულისხმობს ჯანდაცვის პერსონალის მოტივაციის მექანიზმების განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას სამედიცინო განათლების სისტემისა და შეფასების ინსტრუმენტების გაძლიერების საშუალებით, რათა შესაძლებელი იყოს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

- 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია - „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად" (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის No724 დადგენილება)
- ჯანდაცვის სექტორალური სტრატეგიები -- შიდსი, ტუბერკულოზი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, C ჰეპატიტი, დედათა და ბავშვთა დაცვის, დაბერების და სხვა
- ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილება)
- ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულების სამინისტროს

- საკანონმდებლო ცვლილებების თუ პროგრამების შემუშავება-დაგეგმვის პროცესში განხორციელდეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის ანალიზი ხარვეზების გამოვლენის მიზნით, ასევე, სამიზნე ჯგუფების საჭიროებების კვლევა, მათ შორის, გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით.
- მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს პატიმრობის კოდექსის ცვლილებების პროექტი შემდეგ საკითხებზე:
    - ყველა მსჯავრდებულისთვის ერთნაირი ხელმისაწვდომობა აქტივობებზე, შრომით, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებზე, გარე სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ხოლო შეზღუდვების დაწესება შესაძლებელი იქნება ინდივიდუალურ შემთხვევებში, კონკრეტული მსჯავრდებულის

პიროვნებისა და ქცევის გათვალისწინებით;
  - ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის ერთნაირი საცხოვრებელი ფართი;
  - დისციპლინური პატიმრობის ვადა ჩაითვლება სასჯელის ვადაში;
  - დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებით ისარგებლებს ყველა მსჯავრდებული ქალი, რომელთაც არასრულწლოვანი შვილი ჰყავს; ამ უფლების შეზღუდვა კი მოხდება ინდივიდუალურ შემთხვევებში, მსჯავრდებულის ქცევიდან, პიროვნებიდან და სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე.

- უზრუნველყოს პატიმრებისთვის სხვადასხვა სახის სპეციალურ ლიტერატურაზე, მათ შორის მონიტორინგის მექანიზმიების ანგარიშებსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებზე, სასამართლო სიახლეებზე ხელმისაწვდომობა, უფლებების ჩამონათვალის თვალსაჩინო ადგილას განთავსება, მაგ. სასეირნო ეზოებში და სხვა.
- შეიმუშაოს დეტალური გეგმა ყველა დაწესებულებაში საყოფაცხოვრებო პირობებისა და ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებების თანმიმდევრულად განხორციელებისთვის.
- სხვა უწყებებთან კოორდინაციით დაგეგმოს მსჯავრდებულთა დასაქმების სტრატეგიები, მათ შორის, კერძო სექტორისთვის წახალისების მექანიზმების დანერგვის, მსჯავრდებულებში დასაქმების მიმართ დამოკიდებულების შეცვლის თვალსაზრისით.
- განახორციელოს სუბკულტურის გავლენით სისტემაში დამკვიდრებული დისკრიმინაციული პრაქტიკების საფუძვლიანი კვლევა და დასახოს მათი ეტაპობრივი აღმოფხვრის გზები.
- უზრუნველყოს სისტემური მიდგომა თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების მიმართ, მათ შორის, სპეციალური პროცედურების გამოყენების ტექნიკებში და დასახოს სტრატეგია სათანადოდ გადამზადებული კადრების შენარჩუნების ან ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვის თვალსაზრისით.
- რეგულარულად უზრუნველყოს თანამშრომლების გადამზადება ეთიკის კოდექსის ნორმების პრაქტიკაში უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

- დაწესებულებების ლიმიტების განსაზღვრის ეტაპზე გაითვალისწინოს თითოეულ პატიმარზე მინიმალური ფართის უზრუნველყოფა.
- მოახდინოს რისკის შეფასების მექანიზმის უნიფორმიზაცია და შეფასების პროცესში მსჯავრდებულის ჩართვის უზრუნველყოფა.
- აღადგინოს ინდივიდუალურ შემთხვევებში დაწესებულებებს შორის წერილობითი კომუნიკაციის უფლება ახლო ნათესავებს შორის, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებებში იხდიან სასჯელს.
- გადახედოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხას, რათა პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა, პირის თანხმობის გარეშე, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იყოს ნებადართული.
- შეიმუშაოს ყველა სპეციალური პროცედურის წარმოების პროტოკოლი/ინსტრუქცია.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს

- უზრუნველყოს ანგარიშგებისა და სტატიტიკური აღრიცხვიანობის სისტემის რევიზია და ერთიანი ფორმატის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოებას, მიიღოს ადეკვატური და რელევანტური ინფორმაცია ჯანდაცვის კუთხით განხორციელებული რეფორმებისა და რუტინული მომსახურებები შედეგებისა და გამოსავლების შესახებ; განსაკუთრებით ეს როკომენდაცია ეხება პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტით განსაზღვრულ მომსახურებებს.
- შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით არსებული სიტუაციის

გაუმჯობესების ღონისძიებების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შესაბამისი ბიუჯეტითა და პასუხისმგებელი საკადრო რესურსით.

- უზრუნველყოს პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სრულყოფილი მოცვა ციხის შიგნით დაგეგმილ პრევენციულ მომსახურებებში.
- უზრუნველყოს პროგრამების შემუშავება (მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის, მონიტორინგისა და შეფასების გეგმებისა და ანგარიშგების დორმატისა), სულ მცირე ისეთი მომსახურებებისთვის, როგორიცაა სუიციდის პრევენცია, წამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობა/რეაბილიტაცია, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ამ პროგრამების განხორციელების შედეგების შესახებ ობიექტური ინფორმაცია.
- უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის შემუშავება, ხოლო არასამედიცინო პერსონალისთვის -- რეგულარული გადამზადება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პირველადი სამედიცინო დახმარება, პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება, ჯანდაცვის უფლებები და სხვა.
- უზრუნველყოს მოწყვლადი ჯგუფების იდენიტიფიცირება და მიზნობრივი მომსახურებების და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების გაწევის ხარისხის ჯეროვანი კონტროლი; მომსახურების ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებების დაგეგმვა და განხორციელება სრულიად ციხის პოპულაციაზე (პატიმრები და თანამშრომლები); ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებებით, ციხის პოპულაციის მოცვა.

რეკომენდაციები პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსს

- შეიმუშაოს სტრატეგია პრობაციონერების პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც მოიცავს პროაქტიურ ღონისძიებებს ბენეფიციართა ინფორმირებისა და დაინტერესების, ასევე, კერძო სექტორის მოზიდვის თვალსაზრისითაც.
- უზრუნველყოს თანამშრომლების სისტემატიური გადამზადება თანამედროვე არასაპატიმრო სასჯელებისა და მათი თანმდევი მექანიზმების სათანადოდ განხორციელების თვალსაზრისით.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრს

- უზრუნველყოს დონორების ხელშეწყობით დანერგილი პროგრამების განხორციელება ბიუჯეტის სახსრებით;
- რეგულარულად განახორციელოს პროგრამების შეფასება, ხარვეზების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით.

რეკომენდაციები პრობაციის ეროვნულ სააგენტოს

- რეგულარულად განახორციელოს საქმიანობის ანალიზი, საჭიროებების გამოვლენისა და მათი გათვალისწინებით მომავალი საქმიანობის დაგეგმვის მიზნით.

რეკომენდაციები დანაშაულის პრევენციის ცენტრს

- განახორციელოს საჭიროებების კვლევა და განსაზღვროს შეთავაზებული სერვისების ნუსხა;
- პროაქტიულად განახორციელოს ბენეფიციართათვის მათზე მორგებული სერვისების შეთავაზება.

[1] მაგალითად, პრობაციონერთა საერთო რაოდენობა 2016 წლის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წლიურ ანგარიშსა და იმავე წლის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშში

[2] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა 2014-2020 წლებში მიზნად ისახავს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, ჯანდაცვის ადამიანური რესურსის მიმართულებით, რაც გულისხმობს ჯანდაცვის პერსონალის მოტივაციის მექანიზმების განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას სამედიცინო განათლების სისტემისა და შეფასების ინსტრუმენტების გაძლიერების საშუალებით, რათა შესაძლებელი იყოს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

- 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია - „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის No724 დადგენილება
- ჯანდაცვის სექტორალური სტრატეგიები -- შიდსი, ტუბერკულოზი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, C ჰეპატიტი, დედათა და ბავშვთა დაცვის, დაბერების და სხვა
- ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილება)
- ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ.

# მიზანი 4.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 30.3%

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ხარვეზებით ფუნქციონირებდა, რაც ნეგატიურად აისახა პატიმრობაში მყოფი პირების უფლებრივ მდგომარეობაზე. ადამიანის უფლებების დარღვევის მძიმე ფაქტები დოკუმენტირებულია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში. შესაბამისად, წარმოდგენილი მიზანი სწორედ ასეთი ფაქტების პრევენციასა და მათი შედეგების აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს.

მიზნის ფორმულირება ძალიან ზოგადია და პრაქტიკულად, შესაბამისი თავის ფარგლებში მოცემული ყველა სხვა მიზნისა და ამოცანის მსგავსია. სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ხარვეზია საერთაშორისო სტანდარტების მოშველიება კონკრეტიკის გარეშე, ვინაიდან დიდი სხვაობაა, მაგალითად, გაეროსა და ევროსაბჭოს აქტების მიხედვით, პატიმრობის სტანდარტებს შორის. ბუნდოვანია, რომელი სტანდარტი იქნა გამოყენებული კანონმდებლობის დახვეწისთვის. გამოვითხოვეთ ინფორმაცია გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე, თუმცა უშედეგოდ.

# ამოცანა 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების

## დაცვის გაძლიერების მიმართულებით მოქმედი **კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა**

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 15%

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის შექმნის თვალსაზრისით კანონმდებლობის დახვეწა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. აღნიშნული ამოცანის შესრულებისთვის აუცილებელი იყო არსებული კანონმდებლობის სისტემური ანალიზი და ამ უკანასკნელის საფუძველზე, საჭირო ცვლილებების მომზადება , რაც უკეთ უზრუნველყოფდა დასახული მიზნის მიღწევას.

## აქტივობა 4.1.1.1. მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მომზადებული და ინიცირებული ცვლილებები

დამატებული ინდიკატორები:

შესაბამისობაშია CPT-ის სტანდარტებთან, პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციებთან, ევროსაბჭოს სტანდარტებთან

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[1], 2017 წლის 1 ივნისს, მიღებული იქნა ცვლილებების პაკეტი პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებებზე.

ზოგიერთი ცვლილება აუმჯობესებს პატიმრთა უფლებრივ მდგომარეობას. მაგ., შინაპატიმრობის სრულწლოვან მსჯავრდებულებზე გავრცელება[2]; ცვლილებები პატიმრობის კოდექსში[3]: უმაღლესი განათლების მიღების უფლება; საკუთარი ტელევიზორით და მაცივრით სარგებლობის უფლება; ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმში სასამართლოს ჩართვა.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ქალ მსჯავრდებულებს, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილი, მიეცათ საშუალება, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე და დასვენების დღეებში დატოვონ დაწესებულება. თავისთავად ეს ცვლილება პოზიტიურია, თუმცა საკამათოა, რამდენად შეესაბამება ბავშვის ინტერესებს დედისთვის ამ უფლების მხოლოდ ერთი წლით მიცემა. უმჯობესი იქნება, დაწესებულების დატოვების საშუალება დედას შვილის სრულწლოვანებამდე მიეცეს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგ. დაწესებულების დატოვების პერიოდში ჩადენილი სერიოზული კანონდარღვევისთვის, ჩამოერთვას ეს უფლება. ასევე სასურველია, იმავე უფლების სხვა ქალ მსჯავრდებულებზე გავრცელება, რომელთაც დაწესებულებაში არ ჰყოლიათ სამ წლამდე ბავშვები, თუმცა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები.

სასამართლოს მიეცა უფლებამოსილება, ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან ერთად საბჭოს დაავალოს პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რაც, თავისთავად, დადებითი ცვლილებაა, თუმცა სასამართლოს ასევე შეუძლია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება პვგ[4]-ზე უარის თაობაზე და დაავალოს საბჭოს ახალი აქტის გამოცემა. ამ შემთხვევაში, თუ სასამართლო გარკვევით არ მიუთითებს ბათილობის მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს, არის საშიშროება, საბჭომ განმეორებით გამოსცეს იგივე შინაარსის აქტი და გასაჩივრების მექანიზმი დე ფაქტო უფუნქციო გახადოს.

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ზოგიერთი უფლებით, რომლებსაც კანონმდებლობა სხვა ტიპის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრებისთვის აწესებს[5]. ამასთან, ისინი მუდმივი ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან[6] და სხვა რისკის მსჯავრდებულებთან შედარებით, ნაკლებად სარგებლობენ გარე სამყაროსთან ურთიერთობის უფლებით[7]. პატიმრობის კოდექსი განსაკუთრებული რისკის მსჯავრდებულებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის გაორმაგებულ ვადებს ითვალისწინებს[8].

ზემოაღნიშნული რეგულაციები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს - დაწესებულების რეჟიმი მხოლოდ რისკის შემცირებისკენ უნდა მიემართებოდეს და უსაფრთხოების ღონისძიებები ინდივიდუალური ხასიათის უნდა იყოს[9]. ამ მიდგომის დამკვიდრების შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება სასჯელაღსრულების დაწესებულებების რისკების მიხედვით დაყოფის ადეკვატურობა; განსაკუთრებული რისკისთვის დაწესებული შეზღუდვები ფაქტობრივად, დამატებით სასჯელს უტოლდება, რაც არღვევს საშიში დამნაშავეების მართვის საერთაშორისო სტანდარტებს[10]. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში მათი გადახედვა არ მომხდარა და უახლოეს მომავალში არც იგეგმება.

ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, როგორიც ადმინისტრაციული პატიმრობის გაუქმებაა, მხოლოდ ტერმინოლოგიურ ცვლილებამდე არის დაყვანილი, მისი ნეგატიური შედეგები კი კვლავ უცვლელი რჩება[11]:

- ახალი რედაქციით, არც დისციპლინური პატიმრობის ვადა ჩაითვლება

მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში[12].

- მისასალმებელია პატიმრობის ვადების შემცირება, თუმცა ერთი და იმავე ქმედებისთვის სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის პატიმრობის სხვადასხვა მაქსიმალური ვადის განსაზღვრა არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს.

---

[1] MOC 3 17 00706801, თარიღი: 11/09/2017

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში 2017 წლის 1 ივნისის N944 კანონით შესული დამატება;

[3] 2017 წლის 1 ივნისის N943 კანონი

[4] პირობით ვადამდე გათავისუფლება;

[5] ვიდეოპაემანი - პატიმრობის კოდექსის მე-171 მუხლის პირველი ნაწილი; ელექტრონული სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო პროგრამა - პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი; შრომითი უზრუნველყოფის უფლება - პატიმრობის კოდექსის 663 მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[6] პატიმრობის კოდექსის მე-121 მუხლის მე-2 ნაწილი

[7] პატიმრობის კოდექსის 663-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[8] მუხლი 90, 1[1] და მე-2 ნაწილები

[9] იხ. ევროპული ციხის წესები, ნაწილი IV

[10] იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2014)3 წევრ სახელმწიფოებს საშიში დამნაშავეების შესახებ http://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+%282014%29+3+concerning+dangerous+offenders.pdf/cec8c7c4-9d72-41a7-acf2-ee64d0c960cb; ასევე, გაეროს სახელმძღვანელო მაღალი რისკის მსჯავრდებულთა მენეჯმენტის თაობაზე https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/HB_on_High_Risk_Prisoners_Ebook_appr.pdf

იხ. ასევე, სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 20-21 http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf და სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 21, 43-44 http://ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

[11] “ადმინისტრაციული პატიმრობის” ნაცვლად გამოიყენება “დისციპლინური პატიმრობა”

[12] პატიმრობის კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილი

# აქტივობა 4.1.1.2. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მომზადებულია ანგარიში ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული კანონმდებლობის ხარვეზების შესახებ.

დამატებული ინდიკატორები:

გაანალიზებული ნორმატიული აქტების რაოდენობა და სია, რომლებშიც გამოვლინდა/აღმოიფხვრა შეუსაბამობები საერთაშორისო სტანდარტებთან.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2017-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[1], რეგულარულად ხორციელდება სასჯელის აღსრულების პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და წინადადებების შემუშავება მათ აღმოსაფხვრელად.

სამინისტროსვე ინფორმაციით, დღეისათვის გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, ერთიანი დოკუმენტის სახით, მომზადებული არ არის. თუმცა, მიმდინარეობს მუშაობა გამოვლენილი საჭიროებების გადაჭრის გზებზე, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

---

[1] MOC 2 17 00717312; თარიღი:14/09/2017

# ამოცანა 4.1.2. სასჯელაღსრულებისა დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 35%

აღნიშნული ამოცანა, სამწუხაროდ მხოლოდ სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ განსახორციელებელ საქმიანობებს ეფუძნება. გადატვირთულობის პრევენცია კი ასევე გულისხმობს მართლმსაჯულების სისტემის ჰუმანიზაციას[1] და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას[2], რაც ამ ამოცანის ქვეშ ჩამოთვლილ საქმიანობებში არ ჩანს. აღნიშნული უკვე ეჭვქვეშ აყენებს ამოცანის შესრულების ალბათობას, რასაც ემატება ის გარემოება, რომ გეგმაში მითითებული საქმიანობებიც პრაქტიკულად არ შესრულებულა.

[1] მაგ. არასაპატიმრო სასჯელები, ზოგიერთი საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიში ქმედებების დეკრიმინალიზაცია და სხვა

[2] მაგ. წინასწარი პატიმრობის გამონაკლის შემთხვევებში გამოყენება

## აქტივობა 4.1.2.1. მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია სულ ცოტა 4 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით.

დამატებული ინდიკატორები:

დაწესებულებების ლიმიტები ითვალისწინებს თითო მსჯავრდებულის მინიმუმ 4 კვადრატული მეტრი ფართით უზრუნველყოფის სტანდარტს.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 20%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

პატიმრობის კოდექსით მსჯავრდებულთათვის მინიმალური 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობია გათვალისწინებული[1]; თუმცა ბრალდებულებთან მიმართებაში, ეროვნული სტანდარტი 3 კვ.მ.-ია[2], CPT-ის სტანდარტი კი ერთნაირად ვრცელდება ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებზე.

ამ საკანონმდებლო ნორმის აღსრულების პროცესში არსებული ხარვეზები ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 და 2017 წლების ანგარიშებში[3].

რეკომენდებულია, მინისტრმა დაწესებულებების ლიმიტების განსაზღვრის ეტაპზევე გაითვალისწინოს თითოეულ პატიმარზე მინიმუმ 4 კვ.მ. რათა ლიმიტის ბოლომდე შევსების

შემთხვევაშიც კი სტანდარტი დაცული იქნეს. სამინისტრომ ამ სტანდარტის გათვალისწინების ვალდებულება მომავალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვისაც უნდა იკისროს.

---

[1] პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლში 2014 წლის 16 აპრილის N2241 კანონით შესული დამატების მიხედვით, ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ.მ.-ზე ნაკლები.

[2] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მეოთხე ნაწილი

[3] სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, N2, N7, N8, N12, N14, N15 და N17 დაწესებულებებში ყველა პირი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. ფართით. პრობლემა ამ დაწესებულებებში გასულ წელებშიც ფიქსირდებოდა. ფართთან მიმართებაში არსებული ნორმა მხოლოდ N3 დაწესებულებაშია დაცული.

2017 წლის ანგარიშში (გვ. 47-48) აღნიშნულია, რომ „N2, N8, N12, N14 , N15, N17 დაწესებულებებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ყველა მსჯავრდებულის პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი 4 კვ.მ. მინიმალური პირადი ფართით უზრუნველყოფა. 71 ეს გამოწვეულია არა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში ადგილების საკმარისი რაოდენობის არარსებობით72 , არამედ პატიმართა დაწესებულებაში შეუსაბამო განთავსებით. კერძოდ, 67 პრობლემებია N2, N5, N7, N8, N12, N14, N15, N17, N18 და N19 დაწესებულებებში. 68 N2, N3, N5, N6, N7, N8, N9, N14, N15, N17 დაწესებულებებში. 69 N3, N7, N8, N14 დაწესებულებები. 70 N7 დაწესებულება მისი თავდაპირველი დანიშნულებით აშენდა, როგორც საგამოძიებო იზოლატორი. 71 N2, N8, N12, N14 , N15, N17 დაწესებულებებში. 72 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, N15 დაწესებულების გარდა, სხვა არცერთი დაწესებულების ლიმიტი შევსებული არ იყო. 48 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2017 მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად ღია ტიპის სხვა დაწესებულებებში არის ლიმიტით განსაზღვრული ადგილების საკმარისი რაოდენობა, N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რაოდენობა, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დადგენილ ლიმიტს 328-ით აღემატება."

## აქტივობა 4.1.2.2. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სტატისტიკა.

დამატებული ინდიკატორები:

1. სტატისტიკა სსკ მუხლის და დარჩენილი სასჯელის ვადის მითითებით;
2. მიმართვების რაოდენობის შეფარდება პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა რაოდენობასთან, სქესის და ასაკის მიხედვით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

2017 წლის 1-ლი ივნისის ცვლილებით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს 15 წლის თავზე ეძლევათ შესაძლებლობა, დანიშნული სასჯელის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლა მოითხოვონ[1].

ამ საქმიანობის თავდაპირველ ინდიკატორს პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა წარმოადგენს. სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით[2], პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულ პირთა სტატისტიკა, ბოლო სამი წლის მანძილზე, არსებითად არ შეცვლილა - მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, მექანიზმის ეფექტურობა არ გაზრდილა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ადგილობრივი საბჭოები ყველა პატიმრის ზეპირი მოსმენის შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას და ამასთან, ითვალისწინებენ მსჯავრდებულის ოჯახურ და სოციალურ გარემოებებს. უფრო ჩაღრმავებული ანალიზისთვის, რომელიც აუცილებელია მექანიზმის ეფექტიანობის შესაფასებლად[3], კერძოდ, გათავისუფლებულთა სქესი და ასაკი, რა ტიპის დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს, დარჩენილი სასჯელის ვადა, ამ ეტაპზე, ინფორმაცია არ გვაქვს.

---

[1] სსკ 73-ე მუხლის მე-7 ნაწილი; თუმცა 2017 წლის 1 ივნისის ცვლილების შედეგად დამატებული 72[1] მუხლი ისევ 20 წლიან ვადას ითვალისწინებს გამოსაცდელი ვადით პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის.

[2] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2017 წლის ყოველთვიური ანგარიშების მიხედვით, იანვარ-ნოემბრის თვეში პვგ-თი სისტემა დატოვა 930 პირმა

http://www.moc.gov.ge/ka/saqarthvelos-sasjelaghsrulebisa-da-probaciis-saministros-sistemis-statistikis-2017-tslis-angarishi

2016 წლის სტატისტიკის წლიური ანგარიშის მიხედვით (გვ. 20), პვგ-თი გათავისუფლდა 972 მსჯავრდებული

http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/06/02/c95a2d57fa8923d18ce3b0aefd39b75f.pdf

2015 წლის სტატისტიკის წლიური ანგარიშის თანახმად (გვ. 23), პვგ-თი გათავისუფლდა 1033 მსჯავრდებული

http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/05/11/f3bcb63287f84369208717a248dc595b.pdf

[3] აღნიშნული ანგარიშის ფორმატში არ განიხილება პრაქტიკაში პვგ-ს კრიტერიუმების ობიექტურობა ან ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების ხარისხი, ვინაიდან აღნიშნული მონაცემების გამოვლენა უშუალოდ გადაწყვეტილებების შესწავლას მოითხოვს.

## ამოცანა 4.1.3. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, რისკების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა და სრულყოფა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 69%

მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, პიროვნებაზე მორგებული სასჯელის მოხდის გეგმის დანერგვა, მსჯავრდებულთა რისკის შეფასება-გადაფასების სისტემის სრულყოფა ემსახურება პენიტენციური სისტემის გაუმჯობესებას. ამ ამოცანის ქვეშ ჩამოთვლილი საქმიანობები, მათი კარგი განხორციელების შემთხვევაში, საკმარისი იქნება ამოცანის შესასრულებლად. სამწუხაროდ, რისკის შეფასების მექანიზმის ხარვეზები - გაუმჭვირვალე პროცესი, ექსკლუზიურად დაწესებულების თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ შეფასება - არ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა უფლებების სათანადოდ დაცვას, რაც ამოცანის შესრულების დაბალ ხარისხზეც აისახება.

## აქტივობა 4.1.3.1. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა განთავსება შესაბამის დაწესებულებებში

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

რისკის შესაბამისად კლასიფიკაციის ინსტრუმენტი დანერგილია;

დამატებული ინდიკატორები:

1. კლასიფიკაციის ინსტრუმენტი შეესაბამება CPT-ის და ევროსაბჭოს რეკომენდაციებს რისკის შეფასებასა და გადაფასებაზე: კრიტერიუმების ობიექტურობა, მულტიდისციპლინური ჯგუფის შემადგენლობა და სპეციალური მომზადება, ინდივიდუალური მიდგომა და გადაფასების რეგულარობა.
2. დაწესებულებების პროცენტული რაოდენობა, რომლებშიც დანერგილია კლასიფიკაციის ინსტრუმენტი, დაწესებულებების ტიპის მითითებით.
3. მსჯავრდებულთა პროცენტული ოდენობა, რომლებიც განთავსებულები არიან კლასიფიკაციის ინსტრუმენტის გამოყენებით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[1], "მსჯავრდებულთა პირველადი შეფასება და მათი განთავსება შესაბამის დაწესებულებებში დასრულდა 2017 წლის 01 ივლისს."[2]

ეს პროცესი მისასალმებელია, თუმცა რისკის შეფასების მოქმედი მექანიზმი გაუმჭვირვალეა - არ ითვალისწინებს მსჯავრდებულის ჩართვას შეფასების პროცესში, რაც ევროპულ სტანდარტთან შეუსაბამოა[3].

---

[1] 2017 წლის 13 სექტემბრის წერილი MOC 2 17 007 15332

[2] მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასება ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად

[3] იხ. მაგალითად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2014)3 წევრ სახელმწიფოებს საშიში დამნაშავეების შესახებ, პ.32;

http://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+%282014%29+3+concerning+dangerous+

offenders.pdf/cec8c7c4-9d72-41a7-acf2-ee64d0c9

ასევე, იხ. სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 19 http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

# აქტივობა 4.1.3.2. საშიშროების რისკის მიხედვით მსჯავრდებულთა შეფასების ინსტრუმენტის შემდგომი დახვეწა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულები სა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილი ცვლილებები.

დამატებული ინდიკატორები:

1. შეტანილი ცვლილებები უზრუნველყოფს ინსტრუმენტის მიახლოებას CPT-ის და ევროსაბჭოს სტანდარტებთან რისკების შეფასებისა და გადაფასების სისტემის თაობაზე;
2. შეფასების ანგარიშები მიუთითებს გამოვლენილ ხარვეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

2016-17 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანებაში, რომელიც მსჯავრდებულთა რისკის შეფასების მოდალობებს განსაზღვრავს, რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, რომლებიც, ძირითადად, ტექნიკური ხასიათისაა და მცირედად უზრუნველყოფს მექანიზმის დახვეწას[1].

უკვე აღვნიშნეთ მოქმედი ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც პროცესში მსჯავრდებულის ჩართვას შეეხება (იხ. საქმიანობა 4.1.3.1) და რომელიც ინსტრუმენტის დახვეწის პროცესში არ შეცვლილა. გარდა ამისა, მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფი შედგება მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლებისგან, რის გამოც ამ პროცესის ობიექტურობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს. ამასთან, არათანაბარ პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდნენ მსჯავრდებულები, რომელთა შეფასებასაც ზემოაღნიშნული ჯგუფი აწარმოებს და ისინი, ვისაც სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს[2].

---

[1] მაგალითად, შეფასების კრიტერიუმებს დაემატა აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება, დაზუსტდა, რომ ბრძანება არ ვრცელდება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებზე, სხვადასხვა რისკისთვის გადაფასების განსხვავებული ვადები განისაზღვრა.

[2] ეს ორი შესაძლებლობა თანაბრად არის განხილული N70 ბრძანების მე-6 მუხლში; სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის ბოლოსთვის ინდივიდუალური დაგეგმვა მხოლოდ მსჯავრდებულთა 23%-ს შეეხო.

# აქტივობა 4.1.3.3. მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეტაპობრივი დანერგვა დაწესებულებებში

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულები სა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები

მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

2016 წელს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა უზრუნველყოფილია მინიმუმ 8 დაწესებულებაში, 2017 წელს დანერგილია დამატებით 3 დაწესებულებაში.

დამატებული ინდიკატორები:

დაწესებულებების მზარდი პროცენტული რაოდენობა, სადაც დანერგილია ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია (საერთო მაჩვენებელი და დაწესებულებების ტიპების მიხედვით)

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის ბოლოსთვის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია ამჟამად მოქმედი 15-დან 13 დაწესებულებაში დაინერგა, რითაც სრულად მიიღწა აღნიშნული საქმიანობის ინდიკატორებით დასახული შედეგი, თუმცა აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალურმა დაგეგმვამ მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის მხოლოდ 23% მოიცვა[1].

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების თაობაზე, ქალთა დაწესებულების მაგალითზე, აღნიშნულია გეგმების ზოგადი ხასიათი, რაც არ იძლევა პატიმრის რეალური საჭიროებების იდენტიფიცირების საშუალებას[2].

---

[1] 2017 წლის ბოლოსთვის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემა არ იყო დანერგილი N7 და N9 დაწესებულებებში.

[2] გვ. 218 "...მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში უნდა განხორციელდეს. ინდივიდუალური გეგმები არ იძლევა სრულ სურათს პატიმრის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ დადგენილი ან გატარებული სამუშაოების შესახებ." http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

# ამოცანა 4.1.4. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 50%

ამოცანის შესრულების უზრუნველყოფა, მხოლოდ დასახული საქმიანობებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ბროშურებისა და საგანმანათლებლო შეხვედრების გარდა, პატიმართა ცნობიერების ასამაღლებლად სხვა ღონისძიებების გატარებაც აუცილებელია, მათ შორის, სოციალური მუშაკების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა, პატიმრებს

ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სახის სპეციალურ ლიტერატურაზე, მათ შორის, მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშებსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებზე, სასამართლო სიახლეებზე, უფლებების ჩამონათვალის თვალსაჩინო ადგილას განთავსება, მაგ. სასეირნო ეზოებში და სხვა.

## აქტივობა 4.1.4.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების დაბეჭდვა და დარიგება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე)

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

პატიმართა უფლებების შესახებ დარიგებული სხვადასხვა ენოვანი 400 საინფორმაციო ბროშურება;

დამატებული ინდიკატორები:

1. ბროშურების ხელმისაწვდომობა დაწესებულებების გარკვეულ %-ში (საერთო სურათი და დაწესებულებების ტიპების მიხედვით);
2. პატიმრების საერთო რაოდენობის რამდენი %-სთვის არის ხელმისაწვდომი ბროშურები (ენების მიხედვით).

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], 2015 წელს დაიბეჭდა ბროშურების 500 ეგზემპლარი, 2016-2017 წლებში კი ეს საქმიანობა არ განხორციელებულა. 2016 წლის სტატისტიკით, პენიტენციურ დაწესებულებებში არაქართული ეროვნებისა და ენის არმცოდნე პირების რაოდენობა ყველთვიურად 300-დან 400-მდე მერყეობს. 2 წლის წინ დაბეჭდილი ბროშურები კი, ჯერ ერთი, მოძველებულ ინფორმაციას შეიცავს და მეორეც, ამ რაოდენობის ბენეფიციართათვის არასაკმარისია.

[1] MOC 1 17 006996555; თარიღი: 08/09/2017

## აქტივობა 4.1.4.2. საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჯგუფური შეხვედრების გამართვა პატიმართათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

საგანმანათლებლო კონსულტაციებსა და ჯგუფურ შეხვედრებში ჩართულია 400 მსჯავრდებული;

დამატებული ინდიკატორები:

1. კონსულტაციების ხელმისაწვდომობა დაწესებულებების გარკვეულ %-ში (საერთო სურათი და დაწ-ების ტიპების მიხედვით);
2. პატიმრების საერთო რაოდენობის რამდენი %-სთვის გაიმართა კონსულტაციები.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა სამდივნოს საბოლოო ანგარიშის მიხედვით, უფლებების შესახებ პატიმართა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა შესაბამისი ტრენინგ-მოდული, მათ შორის, სპეციფიკური შინაარსით ქალი და არასრულწლოვანი პირებისთვის. 2016 წელს ტრენინგი გაირა 513-მა, ხოლო 2017 წელს - 364 მსჯავრდებულმა. ჩვენი შეფასებით, ამ საქმიანობის საბაზისო ინდიკატორი - 400 მსჯავრდებულის მონაწილეობა - არადეკვატურია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს რაოდენობა საერთოდ არ შეესაბამება პატიმრების საერთო რაოდენობას[1], შესაბამისად, მისი შესრულება დასახული მიზნის მიღწევის ადეკვატურ საშუალებად ვერ განიხილება.

[1] 2016 წელს 9000 პირზე მეტი

## ამოცანა 4.1.5. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 0%

ამოცანის ერთადერთი საქმიანობა საკმაოდ ბუნდოვნად არის ფორმულირებული და ძირითადად ნორმატიულ ცვლილებებს შეეხება, რაც ასევე არ განხორციელებულა. ამოცანის შესასრულებლად კი, საკანონმდებლო საქმიანობის პარალელურად, დამკვიდრებული პრაქტიკების რეგულარული ანალიზიც უნდა განხორციელდეს და ამგვარად გამოვლენილი ნაკლოვანებებიც აღმოიფხვრას.

## აქტივობა 4.1.5.1. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების შესწავლა, გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მოხსენება (ანგარიში) გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.
2. ანგარიშის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები.

დამატებული ინდიკატორები:

1. მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების წილი.
2. ცვლილებები უზრუნველყოფს გასაჩივრების მექანიზმის ეფექტურობის ზრდას, რაც ასახულია ექსპერტულ შეფასებებში და/ან პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში;
3. გასაჩივრების მზარდი სტატისტიკა;
4. უკანასკნელ წლებში შესული და დაკმაყოფილებული საჩივრების თანაფარდობა (დაწესებულებების ტიპების, პატიმრების სქესისა და ასაკის მითითებით) მიუთითებს პატიმართა ცნობიერების ამაღლებასა და მექანიზმის ეფექტურობაზე ყველა კატეგორიის/ასაკის/სქესის პატიმრის მიმართ.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცხადებების/საჩივრებისა და სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის საფუძველზე, პრობლემა იდენტიფიცირდება, საკითხი სრულყოფილად შეისწავლება და მზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა ან/და ხორციელდება ცვლილება[2]. როგორც წერილიდან ჩანს, 2016-2017 წლებში ხარვეზების ანალიზი არ განხორციელებულა; იმავე დოკუმენტში მითითებულია სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2015 წლის კვლევა "მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში"[3], თუმცა საანგარიშო პერიოდში კვლევაში ასახული რეკომენდაციების შესასრულებლად არაფერი განხორციელებულა[4], რაც გვაფიქრებინებს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის კვლევაში წარმოჩენილი პრობლემები კვლავ უცვლელია[5].

---

[1] წერილი MOC 3 17 00794624 თარიღი: 10/10/2017

[2] წერილში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 01 ივნისს პატიმრობის კოდექსსა და თანამდევ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში შეიცვალა გასაჩივრების არსებული წესი. კერძოდ, პატიმრობის კოდექსსა და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე, დაიხვეწა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი; აღნიშნული ცვლილება განხილულია პვგ მექანიზმთან მიმართებაში.

[3] https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUQ0RzaVlGcTZuODQ/view

[4] მაგალითად, პარლამენტს ეძლევა რეკომენდაცია, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, პატიმრების უკმაყოფილების ძირითადი მიზეზების დასადგენად, სამინისტროს საჩივრების პერიოდული ანალიზი უნდა დაევალოს; უწყებამ უნდა შეიმუშაოს მომჩივანთათვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, კონფიდენციური და მიუკერძოებელი მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურები; მოთხოვნებს/საჩივრებს დროული რეაგირება უნდა მოსდევდეს, ხოლო რეაგირების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და სხვა.

[5] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში (გვ. 21) მითითებულია N3 დაწესებულების შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებული მიუთითებდა' რომ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებაზე დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს უარის გასაჩივრების მიზნით' 2017 წლის 23 იანვრის საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს' საჩივარი ჩაბარდა N3 პენიტენციურ დაწესებულების ადმინისტრაციას' თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული საჩივარი არ მიუღია' იმავე ანგარიშში (გვ. 81), არასათანადო მოპყრობის ფაქტების გასაჩივრებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ „გასაჩივრების მექანიზმი ხარვეზიანია, რამდენადაც ცალკეული შემთხვევები საჩივრის წარდგენაზე მსუსხავ ეფექტს იძლევა."

# მიზანი 4.2. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან

## დაახლოების გზით

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 45.2%

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ერთ-ერთი საბაზისო აუცილებლობაა. ამ მიზნის განხორციელების შეფასების პროცესში დავეყრდენით პატიმრობის პირობების ევროპული და უნივერსალური სტანდარტების ამსახველ ძირითად დოკუმენტებს[1].

ამასთან აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, საზოგადოებრივი მისაღებების და არქივის სისტემის გაუმჯობესება არ უზრუნველყოფს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, შესაბამისად, მიზნის მესამე და მეოთხე ამოცანები ირელევანტურია.

---

[1] ევროპული ციხის წესები - Recommendation Rec(2006)2 of the Committee of Ministers to member states on the European Prison Rules https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae;

მანდელას წესები - UN Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (the Nelson Mandela Rules) revised by UN General Assembly resolution A/RES/70/175 https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf

ბანგკოკის წესები - UN A/RES/65/229 United Nations Rules for the Treatment of Women Prisoners and Non-custodial Measures for Women Offenders (the Bangkok Rules) https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Bangkok_Rules_ENG_22032015.pdf

CPT-ის სტანდარტები - CPT/Inf (2015) 44 https://rm.coe.int/16806cc449

# ამოცანა 4.2.1. საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 56%

ეს ამოცანა დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, მით უმეტეს, რომ მის ქვეშ მოქცეული საქმიანობები არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, არამედ ინვენტარის განახლებას და პატიმართა აუცილებელი ნივთებით მომარაგებასაც მოიცავს. ამოცანის უკეთ განსახორციელებლად უმჯობესია, არსებობდეს წინასწარგანსაზღვრული დეტალური გეგმა, რათა საყოფაცხოვრებო პირობები და ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებები თანმიმდევრულად განხორციელდეს ყველა დაწესებულებაში, მათ შორის, სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით[1]. საქმიანობების ანალიზის შედეგად ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს - ზოგიერთ დაწესებულებაში ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება ისევ დღის წესრიგშია, ასევე, პატიმრების საჭირო ნივთებით უზრუნველყოფა კვლავ პრობლემურია.

[1] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 48-49: „ზოგადად, მნიშვნელოვანია, არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფის და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მცირე დაწესებულებების შექმნა გაამარტივებს დაწესებულების მართვას, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, შექმნის უკეთეს წინაპირობას სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად."

# აქტივობა 4.2.1.1. საჭიროებისამებრ, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და ინვენტარით აღჭურვა, (საშხაპეები, საკანალიზაციო სისტემა, ვენტილაცია, განათება, გათბობის სისტემა, სასეირნო ეზო სავარჯიშო ინვენტარით)

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები
2. სახალხო დამცველის ანგარიში

დამატებული ინდიკატორები:

1. კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების გარკვეული % (დაწესებულებების ტიპების მიხედვით) ითვალისწინებს CPT-ის და პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციებს, "ციხის ევროპული წესების" მოთხოვნებს;
2. დაწესებულებების % რაოდენობა, ტიპების მიხედვით, ცხადყოფს სისტემურ მიდგომას ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებების მიმართ.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[1], 2016-2017 წლებში განხორციელდა რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები[2].

პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებით, რიგ დაწესებულებებში პრობლემად რჩება საბაზისო პირობების უზრუნველყოფა, როგორებიცაა ადეკვატური ბუნებრივი განათება, ღამის განმავლობაში ინდივიდუალური განთავსება, სასეირნო სივრცე, რომელიც ფიზიკური აქტივობის ჯეროვან საშუალებას იძლევა, სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობები და სხვა[3].

---

[1] MOC 4 17 00794878; თარიღი: 10/10/2017

[2] N5 დაწესებულებაში გარემონტდა საშხაპეები; N17-ე დაწესებულებაში განხორციელდა სასადილო-სამზარეულოს შენობის კაპიტალური რეკონსტრუქცია; N14-ე დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა სამედიცინო პუნქტი; N8 და N14-ე დაწესებულებებში გაიხსნა პურის საცხობი; N8-ე დაწესებულებაში მოეწყო ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურა; სრულად გარემონტდა N6 დაწესებულება.

[3] იხ. სახალხო დამცველის 2016 და 2017 წლების საპარლამენტო ანგარიშები

## აქტივობა 4.2.1.2. ხანგძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ხანგრძლივი პაემანი ხელმისაწვდომია ყველა სათანადო უფლების მქონე მსჯავრდებულისათვის

დამატებული ინდიკატორები:

დაწესებულებების % რაოდენობა, ტიპების მიხედვით, სადაც ხელმისაწვდომია ხანგრძლივი პაემნები

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 70%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], 2016-17 წლებში ხანგრძლივი პაემნებისთვის

ინფრასტრუქტურა მოეწყო 2 დაწესებულებაში[2]. შესაბამისად, 2017 წლის ბოლოს ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურა არსებობდა 15-დან 10 დაწესებულებაში.

სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, NN18 და 19 დაწესებულებები სამკურნალო ტიპისაა და მათში კანონის თანახმად არ შეიძლება, განხორციელდეს ხანგრძლივი პაემანი, ვინაიდან ამ უფლებას პატიმრობის კოდექსი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის ითვალისწინებს, რაც არ მოიცავს სამკურნალო დაწესებულებებს.

აღნიშნული განმარტება არადამაკმაყოფილებელია - თუ პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს უნარჩუნდება ხანგრძლივი პაემნის უფლება, გარდა გამომძიებლის/პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებისა[3], გაუგებარია, რატომ არ უნდა შეუნარჩუნდეს იგივე უფლებები სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ პირებს, ჯანმრთელობის მდგომარეობით და მესამე პირთა უსაფრთხოების მიზნით დაწესებული ინდივიდუალური გამონაკლისების გარდა[4].

დანარჩენ სამ დაწესებულებაში განთავსებული პირი კი, მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება დროებით გადაყვანილ იქნას დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურით[5]. ეს გამოსავალი კი არ იძლევა მექანიზმის ობიექტურობის გარანტიას - იგი ადმინისტრაციამ შესაძლოა დასჯა/წახალისების მეთოდად გამოიყენოს.

---

[1] MOC 8 17 00781542; თარიღი: 05/102017

[2] 2016-ში მოეწყო N8 დაწესებულებაში, ხოლო ანგარიშის მომზადების პროცესში მიმდინარეობდა სამუშაოები N9 დაწესებულების ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურაზე

[3] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 551, მე-3 ნაწილი

[4] აღნიშნული პრობლემა ხაზგასმულია სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც (გვ.50).

[5] იხ. “მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 ივლისის N132 ბრძანება

# აქტივობა 4.2.1.3. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სასჯელაღსრულების თითოეული დაწესებულებისათვის რეგულარულად ხორციელდება საჭირო ინვენტარის გადაცემა.
სასჯელაღსრულების თითოეული დაწესებულებისათვის გადაცემული ინვენტარის რაოდენობა.
ყველა პატიმარი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით

დამატებული ინდიკატორები:

საჩივრების რაოდენობა წლების მიხედვით, დაწესებულებების ტიპების მითითებით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2017-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], დაწესებულებები რეგულარულად მარაგდება პირადი ჰიგიენის საშუალებებით და რბილი ინვენტარით, თუმცა საჩივრები პირადი ჰიგიენის ნივთებისა და რბილი ინვენტარის შესახებ (ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხი) კვლავ ფიქსირდება[2].

---

[1] MOC 1 17 00785767; თარიღი: 07/10/2017

[2] სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ N2 დაწესებულებაში მყოფი პირები არ არიან უზრუნველყოფილი სეზონური ტანისამოსით; N2, N6 და N18 დაწესებულებებში პირადი ჰიგიენის ნივთები მხოლოდ შესახლებისას გადაეცემათ და რიგ შემთხვევებში, ადგილზე მარაგი არასაკმარისია; N8 დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახში მყოფ პირებს არ ეძლევათ პირადი ჰიგიენის ნივთები.

# ამოცანა 4.2.2. სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულებების მშენებლობა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 20%

ამ ამოცანის შესრულება, თავისთავად, არ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას - პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, თუ არ დაზუსტდება, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ახლად აშენებული დაწესებულებები. რაც შეეხება საქმიანობებს, N6 დაწესებულების სრულად ამოქმედებაც - ერთადერთი საქმიანობა, რომელიც ამოცანის მისაღწევად განხორციელდა - ნაკლებად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ახალი დაწესებულების მშენებლობა.

## აქტივობა 4.2.2.1. განსაკუთრებული რისკის N6 დაწესებულების სრულად ამოქმედება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განსაკუთრებული რისკის #6 დაწესებულება ამოქმედდა, სადაც რისკის შეფასების შესაბამისად ხორციელდება მსჯავრდებულების განთავსება

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

### შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], დაწესებულება ამოქმედებულია და მასში განთავსებულ პირთა საერთო რაოდენობა 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით 170-ია[2].

---

[1] MOC 3 17 00781501; თარიღი: 05/10/2017

[2] სასჯელაღსრულების მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების მიხედვით, დაწესებულების განთავსების ლიმიტი 309 პირია

## აქტივობა 4.2.2.2. დაბა ლაითურის განსაკუთრებული რისკის დაწესებულების აშენება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები

მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ანგარიში დაწესებულების მშენებლობის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაბა ლაითურის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია, 2017 წელს და შესულია ექსპლუატაციაში.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

საქმიანობის ინდიკატორი ითვალისწინებდა დაწესებულების მშენებლობის დასრულებას და ექსპლუატაციაში შესვლას 2017 წელს, რაც არ განხორციელებულა - სამინისტროს ინფორმაციით მშენებლობის პროცესი შეჩერებულია სამშენებლო კომპანიასთან მიმდინარე სასამართლო დავის გამო.

# აქტივობა 4.2.2.3. 14-21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზებული სარეაბილიტაციო დაწესებულების მშენებლობის დაწყება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ანგარიში დაწესებულების მშენებლობის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს თავდაპირველი ინფორმაციით[1], მიმდინარეობს მუშაობა დაწესებულების კონცეფციის შემუშავებაზე და დოკუმენტის დამტკიცების თარიღი 2017 წლის 1 დეკემბერია. მოგვიანებით, სამინისტრომ გვაცნობა, რომ UNICEF-ის ექსპერტის რეკომენდაციით,

აღნიშნული დაწესებულების აშენება რენტაბელურად არ იქნა მიჩნეული, შესაბამისად, მისი აშენება დღის წესრიგში აღარ დგას.

---

[1] MOC 1 17 00787459; თარიღი: 09/10/2017

## აქტივობა 4.2.2.4. N7 დაწესებულების რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ანგარიში დაწესებულების რეაბილიტაციის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ.

დამატებული ინდიკატორები:

N7 დაწესებულებისთვის ევროპული ციხის წესებისა და CPT-ის სტანდარტების შესაბამისი ახალი ინფრასტრუქტურის გამოყოფა და ამოქმედება

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საქმიანობა არ განხორციელებულა. 2018 წლის ივლისში, N9 დაწესებულების ტერიტორიაზე ამოქმედდა N7 პენიტენციური დაწესებულების ახალი შენობა[1].

---

[1] http://www.moc.gov.ge/ka/pressamsakhuri/akhali-ambebi/article/23203-kakha-kakhishvilma-n7-penitenciuri-datsesebuleba-oficialurad-dakhura

## მიზანი 4.3. თავისუფლებააღკვეთილთა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 64.2%

მიზნის ფორმულირება ბევრად მრავლისმომცველია, ვიდრე მის ქვეშ მოქცეული ამოცანები. წესით, ამ მიზნის ქვეშ უნდა მოექცეს ხანგრძლივი პაემნებისა და ვიდეოპაემნების, ასევე, საჩივრების სისტემის გაუმჯობესება, თუმცა უწყებების მიხედვით აგებულ გეგმაში აღნიშნული ამოცანები სხვა ნაწილებშია გადანაწილებული.

## ამოცანა 4.3.1. საზოგადოებრივი მისაღების მომსახურების გაუმჯობესება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 75%

2012 წლიდან საზოგადოებრივი მისაღებით ეტაპობრივად ნაცვლდება ამანათების და საჩივრების მიღების დრომოჭმული და ღირსების შემლახავი სისტემა, რომელიც პატიმრების ოჯახის წევრების საათობით რიგში დგომას და სხვა დამამცირებელ პროცედურებს ითვალისწინებდა. მისაღების მომსახურების გაუმჯობესება მნიშვნელოვანია დასახული მიზნის მისაღწევად. ამოცანის საქმიანობებიც ადეკვატურად არის განსაზღვრული და მათი შეფასების შედეგად ამოცანის მიღწევის ხარისხი დამაკმაყოფილებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც ინფრასტრუქტურული, ისე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

## აქტივობა 4.3.1.1. საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებებში სადაც არ ფუნქციონირებს

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

წელიწადში ერთი დამატებითი საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება.

დამატებული ინდიკატორები:

დაწესებულებების % რაოდენობა, საერთო და ტიპების მიხედვით, სადაც ფუნქციონირებს საზოგადოებრივი მისაღები.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], 2017 წელს ექსპლუატაციაში შევიდა N14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები. 2016 წელს დამატებითი საზოგადოებრივი მისაღები არ ამოქმედებულა.

საქმიანობის ფორმულირება გვაფიქრებინებს, რომ დაგეგმილი იყო საზოგადოებრივი მისაღების ყველა დაწესებულებასთან გახსნა, მაშინ, როცა ამ საქმიანობის ინდიკატორის თანახმად, წელიწადში ერთი დამატებითი საზოგადოებრივი მისაღები უნდა ამოქმედებულიყო[2]. გარდა საქმიანობისა და ინდიკატორის ერთმანეთთან შეუსაბამობისა, საანგარიშო პერიოდში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ინდიკატორში მითითებული წელიწადში ერთი მისაღების გახსნაც არ განხორციელებულა.

---

[1] MOC 2 17 00785768; თარიღი:07/10/2017

[2] ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად საზოგადოებრივი მისაღები 15-დან 10 დაწესებულებასთან ფუნქციონირებს

# აქტივობა 4.3.1.2. საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები გადიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ყოველწლიურად საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა საერთო რაოდენობის 30% გადამზადებულია.

დამატებული ინდიკატორები:

1. გადამზადებულ თანამშრომელთა %-ული მიმართება დაწესებულებების ტიპებთან;
2. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმებით დასტურდება, რომ მონაწილეთა 70%-ზე მეტმა წარმატებით გაიარა ტრენინგების პროგრამა.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია | **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 | **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამდივნოს შუალედური ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს გადამზადება გაიარა თანამშრომლების 92%-მა (46 თანამშრომელი).

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით[1], 2017 წელს საზოგადოებრივ მისაღებს დაემატა ახალი სერვისი "ონლაინ ჩათი" და ამ სერვისის დანერგვის პარალელურად, გადამზადდა „ონლაინ ჩათის" ყველა თანამშრომელი (22 პირი).

---

[1] MOC 2 17 00785768; თარიღი:07/10/2017

# ამოცანა 4.3.2. "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპების დაცვა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 57.1%

ამ ფორმულირებით, აღნიშნული ამოცანის შინაარსი სცდება დასახული მიზნების ფარგლებს და გაცილებით უფრო ფართო დატვირთვისაა. თავის მხრივ, სამინისტროს ცენტრალური არქივის მოწესრიგება "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის მოთხოვნების დაცვის მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. უშუალოდ დაწესებულებებში დამკვიდრებული პრაქტიკის გაუმჯობესებაც აღნიშნული კანონის პრინციპების დაცვას ემსახურება, თუმცა ასევე ცდება დასახული მიზნის ფარგლებს, რომელიც თავისუფლებააღკვეთილი პირების ახლობლების უფლებებზეა ფოკუსირებული.

ზემოაღნიშნული კანონის თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემურია სასჯელაღსრულების მინისტრის 2011 წლის 25 მაისის N90 ბრძანება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ. გამომდინარე იქიდან, თუ რაოდენ მრავალფეროვან, მათ შორის, სამედიცინო ხასიათის, ინფორმაციას შეიცავს მსჯავრდებულის პირადი საქმე, უმჯობესი იქნება, თუ ზოგიერთ პირებს, მაგალითად, მინისტრს, სამინისტროს და აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს, მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე, მხოლოდ გარკვეული სახის ინფორმაციაზე ექნებოდათ წვდომა[1].

იგივე უნდა ითქვას დაწესებულებებში პირადი საქმეების წარმოების წესზე, რომელიც სასჯელაღსრულების მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით არის დამტკიცებული; დანართში მოცემულია იმ პირთა ვრცელი სია, ვისაც შეუძლია გაეცნოს ფსიქოლოგის ჩანაწერებს და პატიმრის ფსიქოლოგიურ შეფასებას. ეს არღვევს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის პრინციპს - მაგალითად, გაუგებარია, რა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა დადგეს მინისტრის ან მისი მოადგილის მიერ, პატიმრის თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელის ფსიქოლოგიური შეფასების გაცნობის საკითხი.

რაც შეეხება ამოცანის ქვეშ ჩამოთვლილ საქმიანობებს, არცერთი მათგანი სრულყოფილად

არ შესრულებულა. მეტიც, მათი შესრულებისას მხედველობაში არ იქნა მიღებული “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” კანონის მოთხოვნები მონაცემთა შენახვის ვადებთან დაკავშირებით, რის გამოც აღნიშნული ამოცანის განხორციელება არადამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

---

[1] დაწვრილებით სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის შესახებ იხ. საქმიანობა 4.5.2.1

# აქტივობა 4.3.2.1. სამინისტროს ცენტრალური არქივის სრულყოფილად მუშაობა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

არქივის სამსახური უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ადამიანური რესურსით, ყველა დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 70%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], არქივის სამმართველოს საცავი უზრუნველყოფილი იქნა სპეცილიზირებული ინვენტარითა და სახარჯი მასალით და 2017 წლის ბოლოსთვის დაარქივებული იყო 10 დაწესებულებისა და 5 სტრუქტურული ქვედანაყოფის დოკუმენტაცია.

---

[1] MOC 0 17 00782354; თარიღი: 06/10/2017

# აქტივობა 4.3.2.2. საარქივო დოკუმენტაციის შენახვის ვადების

გადახედვა "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" **საქართველოს კანონის პრინციპების გათვალისწინებით**

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

განახლებულია სამინისტროს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა.

დამატებული ინდიკატორები:

განახლებული ნომენკლატურა ითვალისწინებს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტრომ მოგვაწოდა[1] 2017 წლის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა[2], რომლის მიხედვით, მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა პირადი საქმეები ინახება რეგისტრაციიდან მოხსნის შემდეგ 25 წელი, რაც გონივრული ვადაა და შეესაბამება “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” კანონის პრინციპებს[3].

---

[1] ibid.

[2] დამტკიცებულია სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N8735 ბრძანებით

[3] “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის “ე” ქვეპუნქტი: “მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.”

## აქტივობა 4.3.2.3. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით არქივის საძიებო პროგრამის შექმნა

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

**ინდიკატორი:**

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შექმნილია არქივის საძიებო პროგრამა.

დამატებული ინდიკატორები:

არქივის საძიებო პროგრამა ფუნქციონირებს საუკეთესო პრაქტიკის პრინციპების გათვალისწინებით.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2016-12-31

### შეფასება

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[1], საარქივო საძიებო სისტემა ფუნქციონირებს excel-ზე დაფუძნებით, ხოლო შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა მოხდება შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიების შემთხვევაში - ეს საქმიანობა უნდა დასრულებულიყო 2016 წელს. მოგვიანებით სამინისტრომ გვაცნობა, რომ ამჟამად არსებული საძიებო სისტემის დამაკმაყოფილებელი ფუნქციონირების გამო სპეციალიზებული პროგრამის შექმნა საერთოდ აღარ დგას დღის წესრიგში.

---

[1] MOC 17 00782354; თარიღი: 06/10/2017

## მიზანი 4.4. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 43%

ევროპული ციხის წესების მიხედვით, მნიშვნელოვანია იმგვარი პენიტენციური სისტემის შექმნა, “რომელიც იძლევა პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების საშუალებას, რითაც მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის

[...].“[1] შესაბამისად, ეს მიზანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მისი მიღწევის გარეშე ვერ ვისაუბრებთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასჯელაღსრულების სისტემაზე. ის ამოცანები - პატიმრების დასაქმება, განათლება, საერეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება - ამ მიზნის მიღწევის საშუალებებია, თუმცა აქვე მოიაზრება, წესით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შედგენა, სარეკრეაციო პროგრამები და სხვა. შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანები დასახული მიზნის მიღწევას მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა მდგომარეობა, რომლებიც მოკლებულნი არიან დასაქმების, განათლების და სხვა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის საშუალებებს მაშინ, როდესაც მაღალი რისკიდან გამომდინარე, ისინი ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ[2].

ამოცანების შესრულების დაბალი ხარისხიც მიზნის მიღწევას ნაკლებად უზრუნველყოფს.

---

[1] იხ. შესავლის მე-5 პუნქტი

[2] აღნიშნულის თაობაზე იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 26, 46, 48-49

## ამოცანა 4.4.1. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 10%

მსჯავრდებულთათვის სათანადო სამუშაო ადგილების შეთავაზება საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთი გადაუჭრელი ამოცანაა. აღნიშნულის მიზეზს ის უსისტემო მიდგომა წარმოადგენს, რაც ამ ამოცანის ერთადერთი საქმიანობიდანაც ჩანს - დასაქმებულთა შესაძლებლობების გაზრდისთვის აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაცია, კერძო სექტორის მოზიდვა, თავად მსჯავრდებულების დაინტერესება და მრავალი სხვა[1]. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა იმის დადასტურება, რომ მისი ძალისხმევის შედეგად მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობები, 2016-17 წლებში, გაიზარდა. შესაბამისად, აღნიშნული ამოცანის შესრულება არადამაკმაყოფილებელია.

---

[1] სამინისტროს ინფორმაციით, მომავალში იგეგმება საკანონმდებლო პაკეტის შექმნა, „რომელიც ხელს შეუწყობს პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე მსჯავრდებულთა დასაქმებას. ამ მიმართულებით განიხილება კერძო სექტორის დაინტერესების მიზნით გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესების საკითხიც. მიმდინარე სამუშაო პროცესში ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.“

## აქტივობა 4.4.1.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების შექმნა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახალგახსნილი საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა;
2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა ყოველწლიურად გაზრდილია;
3. უზრუნველყოფილია ყოველწლიურად დასაქმებულთა პროცენტული რაოდენობის ზრდა.

დამატებული ინდიკატორები:

1. დაწესებულებების ტიპების გათვალისწინებით, რამდენი % არის მოცული საწარმოებისა და მინი კერების პროექტებით;
2. დასაქმების კერები, ყოველწლიურად, იძლევა ორივე სქესის მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის მზარდი %-ის დასაქმების საშუალებას.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[1], მინი საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 1%-ზე ნაკლებია[2]. სამინისტროს სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით, სამეურნეო სამსახურებში დასაქმებულთა რაოდენობა, კაც პატიმართა შემთხვევაში მსჯავრდებულ მამაკაცთა საერთო რაოდენობის 5%-ს, ხოლო ქალებისთვის - 8%-ს შეადგენს[3]. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ ელექტრონული ფორმით მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დასაქმებულთა რიცხვი, 2016-17 წლებში, შედარებით მაღალია[4].

ჩვენი მოსაზრებით, წარმოდგენილი სამუშაობის მოცულობა, მათ შორის, სტატისტიკური ცდომილებების გათვალისწინებით, არ შეესატყვისება საკითხის პრიორიტეტულობას.

დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრობლემური საკითხია. არსებული ხარვეზები რეგულარულად არის ასახული სახალხო დამცველისა და CPT-ის ანგარიშებში. შესაბამისად, რეკომენდებულია ამ მიმართულებით მუშაობის ინტენსიფიკაცია და სისტემატიზება - სხვა უწყებებთან მუშაობა კერძო სექტორისთვის წახალისების მექანიზმების დანერგვისთვის, მსჯავრდებულებში დასაქმების მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზე მუშაობა და ა.შ[5].

[1] MOC 1 17 00777595; თარიღი: 04/10/2017

[2] N15 და N16-ე დაწესებულებებში 2016 წლიდან ფუნქციონირებს პურის საცხობი, სადაც თითოეულში დასაქმებულია 10 პირი. N8 დაწესებულებაში 2018 წლიდან იგეგმება პურ-ფუნთუშეულის საცხობის გახსნა, სადაც სავარაუდოდ 4 პირი დასაქმდება. N5 დაწესებულებაში 2016 წელს გაიხსნა მცირე საწარმო-სამკერვალო და იგეგმება მისი გაფართოვება და 2016 წელს დასაქმებული იყო 31 პირი, ხოლო 2017 წელს -32.

[3] 2017 წლის მონაცემებით, 2017 წელს სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 461 პირი (22 ქალი, 439 კაცი), ხოლო მათმა შრომის ანაზღაურებამ ნოემბრის თვეში შეადგინა 87.202 ლარი. ასევე, ინდივიდუალურ საქმიანობას ეწეოდა 39 პირი, ხოლო საწარმოო საქმიანობას ეწეოდა 28 პირი. შესაბამისად, დასაქმებულ კაც პატიმართა წილი წარმოადგენს 5%, ხოლო მხოლოდ ქალების შემთხვევაში -- 8%. 2016 წლის მონაცემებით, სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 454 პირი (20 ქალი, 434კაცი), ხოლო მათმა შრომის ანაზღაურებამ ნოემბრის თვეში შეადგინა 87.063 ათასი ლარი. ინდივიდუალურ და საწარმოო საქმიანობაში ჩართულ პირთა რაოდენობა არ არის ანგარიშგებული. შესაბამისად, დასაქმებულ მამაკაცთა წილი წარმოადგენს 4.8%, ხოლო მხოლოდ ქალების შემთხვევაში -- 7.5%.

[4] 2017 წელი: სულ 850 მსჯავრდებული, აქედან 717 - სამეურნეო სამსახურში, მინი კერებში - 66, ინდივიდუალური საქმიანობა - 67 მსჯავრდებული.

2016 წელი: სულ 726 მსჯავრდებული, აქედან 628 - სამეურნეო სამსახურში, მინი კერებში - 58, ინდივიდუალურ საქმიანობას ეწეოდა 40;

[5] დღესდღეობით, მსჯავრდებულთა დასაქმების ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი, დასაქმების კერების ნაკლებობასთან ერთად, ციხეებში არსებული ძლიერი კრიმინალური სუბკულტურაა, რომელიც დასაქმებულ პატიმარს ციხის იერარქიაში ძალიან დაბალ საფეხურზე აყენებს. არაოფიციალური ინფორმაციით, დაბალი რისკის მე-16 დაწესებულების სრული ძალით დატვირთვაც სწორედ იმიტომ ვერ ხერხდება, რომ იქ განთავსების სანაცვლოდ მსჯავრდებულმა მუშაობის და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის ვალდებულება უნდა აიღოს, ხოლო მსჯავრდებულებს ურჩევნიათ, უფრო მკაცრი ტიპის დაწესებულებებში მოიხადონ სასჯელი, საიდანაც ვადამდე გათავისუფლების ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე იმუშაონ და ამგვარად, არაოფიციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე აღმოჩნდნენ.

# ამოცანა 4.4.2. მსჯავრდებულთათვის საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამების გაუმჯობესება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 32.5%

ქვემოთ მოცემული საქმიანობები, მათი სათანადო განხორციელების შემთხვევაში, სათანადოდ უზრუნველყოფს ამოცანის შესრულებას. სამწუხაროდ, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულების რიცხვი კვლავ მცირეა და ისინი ყველა დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, აღნიშნული ამოცანის შესრულების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

# აქტივობა 4.4.2.1. ხარისხიანი საგანმანათლებლო და

# პროფესიული პროგრამების მიწოდება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების ეფექტურობა დადასტურებულია ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგად.

დამატებული ინდიკატორები:

1. ახლადდანერგილი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების რაოდენობა;
2. მსჯავრდებულთა ჩართვის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები;
3. თითოეულ პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესის მითითებით და ამ რაოდენობის პროცენტული მიმართება მსურველთა საერთო რაოდენობასთან (ორივე სქესის მსჯავრდებულთათვის);
4. ორივე სქესის იმ მსჯავრდებულთა %-ული რაოდენობა პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობიდან, ვინც დაასრულა პროგრამის სრული კურსი;
5. ორივე სქესის მსჯავრდებულთა %-ული რაოდენობა პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობიდან, ვინც კურსი შეწყვიტა გათავისუფლების გამო/საკუთარი სურვილით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 25%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], პროგრამების შემუშავება მუდმივად მიმდინარეობს. ელექტრონული ფორმით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სოციალური აქტივობების საჭიროებების კვლევა ორ-ორჯერ ჩატარდა 2016-17 წლებში[2], რის შედეგადაც შედგა პროფესიული სწავლების გეგმა.

იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართული პირების რაოდენობა კვლავ ძალიან მცირეა[3], ვფიქრობთ, რომ ხარისხიანი და ეფექტური პროგრამების შემუშავება (რომლებიც ასევე პასუხობს მსჯავრდებულთა საჭიროებებს) კვლავ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

[1] MOC 2 17 00777613; თარიღი: 04/10/2017

[2] 2016 წელს გამოკითხვაში მონაწილეობა 2087 მსჯავრდებულმა მიიღო, ხოლო 2017 წელს -2112 მსჯავრდებულმა.

[3] 1034 მსჯ. (საერთო რაოდენობის 11%) 2016 წელს და 577- 2017-ში (საერთო რაოდენობის 6%) - MOC 2 17 00777613, 04/10/2017; ელექტრონული ფორმით მოწოდებულ ინფორმაციაში კი აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში, 2016 წელს, ჩართული იყო 1325 მსჯავრდებული, ხოლო 2017 წელს - 1567 ბენეფიციარი. თანდართული ცხრილის მიხედვით კი ირკვევა, რომ ბენეფიციართა დიდი ნაწილი ჩართული იყო სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლებასა (2016 წ. - 788 მსჯ.) და საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამებში (2017 წ. - 870 მსჯ.), რაც არ შეიძლება მოვიაზროთ საგანმანათლებლო-პროფესიულ პროგრამებში ჩართულობად.

# აქტივობა 4.4.2.2. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების გაზრდა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულია პატიმართა 20%.

დამატებული ინდიკატორები:

1. საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების რაოდენობა დაწესებულების მითითებით;
2. პროგრამებში ჩართვის წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 25%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (საქმიანობა 4.4.2.1), საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობა ძალიან მცირეა. მოქმედი 15 დაწესებულებიდან,

საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ 10 დაწესებულებაში.

## აქტივობა 4.4.2.3. რისკების შესაბამისად, პატიმართა უზრუნველყოფა უმაღლესი განათლებით

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება; ცვლილებების შედეგად უმაღლესი განათლების პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა. შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

2016-2017 წლებში კანონმდებლობა მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას არ აძლევდა. სამინისტროს მიერ ელექტრონული ფორმით მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მიუხედავად საკანონმდებლო ხარვეზისა, ბენეფიციარების მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებთან მოლაპარაკების შედეგად, 2016 წელს 1 ბრალდებულმა და 1 მსჯავრდებულმა ქალმა, ხოლო 2017-18 სასწავლო წელს 13-მა მსჯავრდებულმა დაიწყო.

პატიმრობის კოდექსში 2017 წლის 1-ლ ივნისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების საშუალება მსჯავრდებულებს 2018 წლის იანვრიდან მიეცათ, თუმცა აღნიშნული უფლება არ გავრცელდება განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებზე. ამგვარი მიდგომა, როგორც 4.1.1.1 საქმიანობის შეფასების დროსაც აღვნიშნეთ, დისკრიმინაციულია და არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

## ამოცანა 4.4.3. მსჯავრდებულთა

რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიზნით ეფექტური **ფსიქოსოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და სერვისების მიწოდება**

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 30%

ამოცანის განხორციელებისთვის დაგეგმილი საქმიანობები ადეკვატურია, თუმცა მათი შესრულების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. არცერთი საქმიანობა არ განიხილავს მსგავსი პროგრამების ეფექტიანობას, რაც უდავოდ ხარვეზია სერვისების მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით.

## აქტივობა 4.4.3.1. ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის ძალადობაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა)

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. დამტკიცებული ფსიქოსოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტი და პროგრამების პაკეტი.
2. დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა.
3. ფსიქოსოციალურ, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

აღნიშნული საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა რამდენი % იქნა ჩართული პროგრამებში, ორივე სქესის მსჯავრდებულთათვის.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], ერთიანი სტანდარტი შემუშავებული ამ პერიოდში არ ყოფილა, თუმცა დაწესებულებებში დანერგილია 12 ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა, 2 ჯგუფური თერაპია და 6 საინფორმაციო ტრენინგი. ორ დაწესებულებაში კი ფუნქციონირებს ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“[2].

სამინისტროს მიერ ელექტრონულად მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წელს ფსიქო-სოციალურ პროგრამებსა და თერაპიებში ჩართული იყო მსჯავრდებულთა 5%[3], ხოლო 2017 წელს - 9%[4].

გამომდინარე იქიდან, რომ საქმიანობის მთავარი დატვირთვა პროგრამების ერთიანი სტანდარტის და საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამების პაკეტების შექმნა იყო, ცალკეული პროგრამების ფუნქციონირება, ზოგიერთ დაწესებულებაში, სამოქალაქო სექტორისა და დონორების მხარდაჭერის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან სარეაბილიტაციო სერვისების ერთიანი და სისტემური მიდგომის არსებობისა[5].

---

[1] MOC 8 17 00798094; თარიღი: 11/10/2017

[2] პროგრამის განხორციელების ინსტრუქცია დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N161 ბრძანებით; აღნიშნული პროგრამა ხორციელდება N2 და N5 დაწესებულებებში. 2017 წლის ოქტომბრის მდგომარეობით აღნიშნული პროგრამა გაიარა 25 მსჯავრდებულმა (N2 დაწესებულებაში-12 მსჯავრდებული; N5 დაწესებულებაში -13 მსჯავრდებული).

[3] 437 მსჯავრდებული / 8230 (სასჯელაღსრულების სამინისტროს 2016 წლის სტატისტიკური ანგარიშის მიხ., მსჯ. საერთო რაოდენობა 2016 წლის ბოლოსთვის).

[4] 719 მსჯავრდებული / 7976 (მსჯ. საერთო რაოდენობა 2017 წლის დეკემბრის სტატისტიკური ანგარიშის მიხ.).

[5] სამინისტრომ ელექტრონულად მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ 2017 წელს, ევროკავშირის(EU4Justice) და ამერიკის (INL) საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად გაკეთდა არსებული პროგრამების ლოგიკური მოდელის, მიმოხილვისა და შეფასების მატრიცები, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში დაინერგება და უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურობის ზრდას.

# აქტივობა 4.4.3.2. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით სასჯელაღსრულების სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშობის ტექნიკებსა და სარეაბილიტაციო პროგრამებში

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

გადამზადებულ სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მზარდი რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის და სხვა გარე მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები ადასტურებს გადამზადების ეფექტურობას;
2. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმებით დასტურდება ტრენინგის ეფექტურობა;
3. გადამზადებულთა %-ული რაოდენობა სოცმუშაკებისა და ფსიქოლოგების სრული რაოდენობიდან, დაწესებულებების და ამ უკანასკნელთა ტიპების გამოყოფით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

# შეფასება

ტრენინგები, რომლებიც, სამინისტროს ინფორმაციით, ფსიქოლოგებმა და სოცმუშაკებმა გაიარეს[1], დატრენინგებულთა მცირე რაოდენობიდან და ტრენინგების შინაარსიდან გამომდინარე, არ უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთა ადეკვატურ მომზადებას ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკებსა და სარეაბილიტაციო პროგრამებში.

მოგვიანებით, როგორც სამინისტრომ, ისე სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრმა მოგვაწოდეს დამატებითი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც რადიკალურად განსხვავდება როგორც 2017 წლის ოქტომბრის წერილის მონაცემებისგან, ისე ერთმანეთისგან[2]. შესაბამისად, ვერცერთ მათგანს სარწმუნო წყაროდ ვერ განვიხილავთ. ამ ყველაფრისგან კიდევ განსხვავებული სტატისტიკური მონაცემებია ასახული ადამიანის უფლებათა სამდივნოს საბოლოო ანგარიშში[3].

---

[1] MOC 8 17 00785746; თარიღი: 06/10/2017: 2016 წელს, სასწავლო EU/CoE პროექტის ფარგლებში, 5 სოცმუშაკმა 5 ს/ა დაწესებულებიდან და 10 ფსიქოლოგმა 7 დაწესებულებიდან გაიარა ტრენინგი თემაზე "დანაშაულის გაცნობიერება ზრდასრულთათვის"; 2017 წელს 12 სოცმუშაკმა 4 დაწესებულებიდან და 1 ფსიქოლოგმა 1 დაწესებულებიდან გაიარა ტრენინგი "მოტივაციური ინტერვიუ";

2017 წლის ოქტომბერში UNICEF-თან თანამშრომლობით გადამზადდა არასრულწლოვნებთან მომუშავე 30 სოცმუშაკი და ფსიქოლოგი.

[2] წინამდებარე ანგარიშის თაობაზე სასწავლო ცენტრის მიერ მოწოდებული კომენტარების მიხედვით, 2016-17 წლებში სხვადასხვა სასწავლო პროგრამებით მომზადება გაიარა 122 პირმა; დამატებით, 2017 წელს, ფასილიტატორებად მომზადდა 49 პირი.

სამინისტროს დამატებითი ინფორმაციით კი ფსიქოლოგებისა და სოცმუშაკებისთვის მოწყობილ ტრენინგებში 180 საშტატო ერთეულიდან მონაწილეობა მიიღო 2016 წელს - 70-მა, ხოლო 2017 წელს - 210 პირმა.

[3] სამდივნოს მონაცემებით, 2016 წელს სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში გადამზადდა 157 ფსიქოლოგი და სოცმუშაკი; 2017 წელს კი ფასილიტატორად მომზადდა 79 პირი.

## ამოცანა 4.4.4. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 100%

დისკრიმინაციის აღმოფხვრელად თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი. სასურველი იქნებოდა დაწესებულებებში დამკვიდრებული დისკრიმინაციული პრაქტიკების საფუძვლიანი კვლევა და მათი აღმოფხვრისთვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. აქაც, როგორც დასაქმების შემთხვევაში, წინა პლანზე დგას ციხის სუბკულტურის წესები, რომლებიც პატიმართა გარკვეული კატეგორიების დისკრიმინაციის მთავარი გამომწვევი მიზეზია.

## აქტივობა 4.4.4.1. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებებზე ორიენტირებული ადამიანის უფლებათა სწავლება პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომლებისათვის

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა
2. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა
3. მომზადებული თანამშრომლების მზარდი რაოდენობა

დამატებული ინდიკატორები:

1. პროგრამების ხანგრძლივობა და შინაარსი უზრუნველყოფს თანამშრომლების

სათანადო მომზადებას თანასწორობის და შემწყნარებლობის საკითხებში;
2. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმები ადასტურებს ტრენინგის ეფექტურობას;
3. გადამზადებულ თანამშრომელთა %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების გამოყოფით.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], თანამშრომელთა სასწავლო კურსში ინტეგრირებული მოდული "ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები" (16 აკადემიური საათი) მოიცავს, სხვა საკითხებს შორის, თანასწორობისა და შემწყნარებლობის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, გენდერული თანასწორობის თემატიკას. ამ კურსით მომზადება 2017 წელს დაიწყო და მასში მონაწილეობა 14 მოსამსახურემ მიიღო.

მოგვიანებით, წინამდებარე ანგარიშზე კომენტარის სახით, სამინისტრომ გვაცნობა, რომ „აღნიშნული საკითხები შესულია სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების, სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების სასწავლო კურსში და ასევე გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების პირველი და მეორე დონის სასწავლო პროგრამებში. შესაბამისად, ყველა მოსამსახურეს გავლილი აქვს ამ თემატიკაზე მომზადება/გადამზადების კურსი.

---

[1] MOC 1 17 00785758; თარიღი: 07/10/2017

# მიზანი 4.5. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 39.45%

პატიმართა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების სტანდარტად გამოყენებული იქნა რელევანტური საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები[1].

მიზნის მიღწევის შეფასების პროცესში არ განხორციელებულა პირველადი მასალის მოძიება/ანალიზი, რათა განსაზღვრული ყოფილიყო, რა გავლენა იქონია ამ თუ იმ ცვლილებამ პატიმართა ჯანდაცვაზე. დოკუმენტის ავტორები დაეყრდნენ პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას (რომელიც, რიგ შემთხვევაში, ხარვეზებს შეიცავდა), ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგებს, ოფიციალურად გამოქვეყნებულ ანგარიშებს, სტატისტიკურ მონაცემებს და სხვა მსგავს წყაროებს.

პენიტენციური სისტემაში სამედიცინო მომსახურებების მიწოდების პროცესში ძირითადი პრინციპები შემდეგია:

მიუხედავად იმისა, რომ მიზნის ქვეშ შემავალი ცალკეული ამოცანის მიმართ შესაძლოა, პრეტენზია არ იყო, განსაკუთრებით დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ამ მიზნის ფარგლებში

ყველა ღონისძიება მიმართულია პენიტენციური სისტემის შიგნით სამედიცინო მომსახურებების ვერტიკალის გაძლიერებაზე და არსად არის ასახული პენიტენციური სისტემის სამოქალაქო სისტემასთან ინტეგრაციის აუცილებლობა[2].

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პრევენციული სამედიცინო მომსახურებებისთ მოხდესსისტემის სრული მოცვა, მათ შორისსასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა, რომლებიც პატიმრების მსგავს გარემო და ფსიქოლოგიურ რისკების წინაშე დგანან[3].

---

[1] მათ შორის, საქართველოს მიერ 1994 წლის 25 იანვარს რატიფიცირებული "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით" განსაზღვრულია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლეს სტანდარტზე;

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის R(98)7 რეკომენდაციით "წევრი სახელმწიფოებისადმი ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და საორგანიზაციო ასპექტების შესახებ" და CPT-ის მესამე ძირითადი ანგარიშში განსაზღვრულია ციხეში სამედიცინო მომსახურების ორგანიზების ძირითადი პრინციპები;

[2] სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც (გვ. 25) ხაზგასმულია, რომ "ნაბიჯები არ გადადგმულა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის პენიტენციური ჯანდაცვის მართვის გადასაცემად განსახორციელებელი, დროში გაწერილი აქტივობების გეგმის შედგენის კუთხით." http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების სამინიტროს ინფორმაცით, ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია სამედიცინო მომსახურებების რეგულაციების ერთგვაროვნად განხორციელებაზე და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში ბრალდებულ/მსჯავრდებული პირების ჩართვაზე.

[3] აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფლობენ სამედიცინო დაზღვევას და აქვთ საშუალება, სამედიცინო მომსახურება მიიღონ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში. ეს უდაოდ მისასალმებელი ფაქტია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს პირები იმყოფებიან დახურული ტიპის დაწესებულებებში მსგავსად ბრალდებული/მსჯავრებული პირებისა, მათი ჯანმრთელობის რისკები განსხვავდება ზოგადი პოპულაციისგან, და პრევენიციული მომსახურების კუთხით უნდა იყოს განხხილული ერთიან -- ციხის პოპულაციის კონტექსტში.

## ამოცანა 4.5.1. დაავადებათა პრევენციაზე დაფუძნებული მომსახურების გაუმჯობესება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 60%

პრევენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რადგან ერთის მხრივ, ამ დაწესებულებებში შესახლებულ პირთა დიდი ნაწილისთვის ეს შეიძლება იყოს შანსი, მიიღონ საფუძვლიანი სამედიცინო მომსახურებები (მაგ., სკრინინგი რიგ ინფექციურ და ქრონიკულ დაავადებებზე), ხოლო მეორეს მხრივ, ეს დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით, თავისთავად არის რისკის

მატარებელი - მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი, ფსიქიკური და სხვა სახის ჯანმრთელობის გართულებების წარმოშობის მაჩვენებელი.

ამოცანის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთადერთი საქმიანობა -- პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის დანერგვა. მართალია, შემუშავებულ სტანდარტში მოცულობითი პრევენციული ღონისძიებებია ასახული, თუმცა მისი დანერგვის პროცესში სასურველი იქნებოდა, (1) დოკუმენტი რეგულარულად განახლებულიყო, (2) შექმნილიყო მისი დანერგვის შეფასების ინსტრუმეტი, (3) განსაზღვრულიყო დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებები -- პერსონალის გადამზადება, პროტოკოლების შექმნა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის შექმნა და ა.შ.

## აქტივობა 4.5.1.1. დამტკიცებული პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის დანერგვა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი (სუიციდი, C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, რეფერალი და ასე შემდეგ)

დამატებული ინდიკატორები:

მომზადებულია სტანდარტის განხორციელების შესახებ რუტინული ანგარიშგების ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება შესაბამისი პერიოდულობით ანგარიშგება; სტატისტიკური ინფორმაცია გროვდება ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით.

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 60%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტი ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, მათ შორის, ევროპული ციხის წესებსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის “ჯანდაცვა ციხეებში” რეკომენდაციებს. სტანდარტით ასევე მოცემულია პრევენციაზე ორინეტირებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონკრეტული სამედიცინო მომსახურებების ჩამონათვალი.

სამინისტროს ინფორმაციით[1], ეს სტანდარტი დამტკიცებულია 2015 წელს, ხოლო მას შემდეგ სტანდარტით გათვალისწინებული მომსახურებების ჩამონათვალის განახლება არ განხორციელებულა, რაც არ შეესაბამება კარგ პრაქტიკას ჯანდაცვის მომსახურებების მიწოდების კუთხით, სადაც პროგრესი საკმაოდ სწრაფია. სტანდარტის დანერგვის პროცესის

შეფასება გართულებულია - არ არის განსაზღვრული მისი დანერგვის გეგმა, შესაბამისი ანგარიშგების ფორმატი. არსებული სტატისტიკა ცალკეული დაავადებების მართვის კუთხით მიღწეული პროგრესის შეფასების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა აქაც სასურველია, არსობობდეს ნათლად განსაზღვრული მეთოდოლოგია, როგორ/რომელ წყაროებზე დაყრდნობით და ვის მიერ ხდება ამა თუ იმ მონაცემის შეგროვება/გამოთვლა.

სტანდარტის შესახებ ანგარიშგება მნიშვნელოვნად გართულებულია იმ ფაქტით, რომ მონაცემების შეგროვების არსებული სისტემა განხორციელებული მომსახურების მოცულობისა და შედეგის გაზომვის შესახებ ინფორმაციას არ იძლევა. მაგალითად, როდესაც საუბარია პირველად და განმეორებით პრევენციულ შეფასებებზე, უცნობია, ციხის პოპულაციის რა % არის მოცული ამ სერვისებით.

მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტის ანგარიშგების ფორმატი ცალკე იყოს განხილული, შეთანხმდეს, რა სახის ინფორმაცია მოგროვდება ანგარიშგებისთვის, ვის მიერ, ვინ და როგორ გააკეთებს მათ სისტემატიზაციას და ზოგადად, როგორ გაიზომება ამ პრევენციული მომსახურებების შედეგები (მაგ., თავიდან აცილებული შემთხვევები).

---

[1] MOC 2 17 00782158; თარიღი: 06/10/2017

## ამოცანა 4.5.2. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დაცვის სისტემის გაუმჯობესება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 30%

ამოცანა მხოლოდ ერთ საქმიანობას - სამედიცინო პერსონალის გადამზადებას მოიცავს, მაშინ, როდესაც ამ ამოცანის მიღწევისთვის აუცილებელია სხვა არაერთი ღონისძიების გატარება, მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვის, მასზე წვდომის წესების დეტალური განსაზღვრა და მათ დაცვაზე მონიტორინგი; ასევე, არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალის, არამედ ციხის სხვა თანამშრომლების, მათ შორის, ადმინისტრაციის ზედა რგოლის მომზადება სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხებზე და პენიტენციური პოპულაციის რეგულარული ინფორმირება პაციენტის უფლებების თაობაზე.

## აქტივობა 4.5.2.1. სამედიცინო პერსონალის მომზადება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხებზე

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია

ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სამედიცინო პერსონალის მომზადების შესახებ კურიკულუმი მოიცავს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხებს.

დამატებული ინდიკატორები:

შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშები ადასტურებს სამედიცინო პერსონალის მიერ კონფიდენციურობის დაცვას.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამედიცინო/ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის პრობლემა არაერთხელ აისახა გარე მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშებში[1],[2].

სამინისტროს ინფორმაციით[3], 2016 წელს შემუშავდა გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა სამედიცინო პერსონალისთვის, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხებსაც; თუმცა ეს პროგრამა ჯერ პრაქტიკაში დანერგილი არ არის.

მიუხედავად ამისა, სამინისტროს ინფორმაციით, ამავე პერიოდში განხორცილედა რიგი მოკლე-ვადიანი ტრენინგები ამ თემაზე.

პაციენტის შესახებ (სამედიცინო) ინფორმაციის კონფიდენციალობას არეგულირებს არაერთი საკონონმდებლო და ნორმატიული აქტი (მაგ., საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”). კანონმდებლობით განსაზღვრულია ანონიმურად მკურნალობის მიღების პირობებიც, რისი დაცვაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2017 წლებში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც დაარეგულირა სამედიცინო ხასიათის ინფორმაციაზე პაციენტის თანხმობის გარეშე წვდომის საკითხი[4]. 2016-2017 წლებში შეტანილი ცვილებებით ძირითადად განისაზღვრა იმ პირთა წრე, ვისაც აქვს წვდომა ამ ინფორმაციაზე[5], დაკონკრეტდა და შეიცვალა სამედიცინო შინაარსის დოკუმენტაციის ფორმები და გამოყენების წესი და სხვა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების დარეგულირება:

1. განხორციელდეს მონიტორინგი/შეფასება, რამდენად მნიშვნელოვანია და რამდენად ხდება ამ უფლების გამოყენება იმ პირთა ფართო წრის მიერ, რომლებიც ამ ბრძანებით არის განსაზღვრული. თუ საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის შეზღუდვა, ყველა საჭირო შემთხვევაში პაციენტის თანხმობა მოპოვებული უნდა იქნეს.
2. წარმოდგენილი ცვლილებით, ამ პირებს დაშვება უჩნდებათ სრულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე, მაშინ, როდესაც მათი კომპენტენციის ფარგლებში, შესაძლებელია, საკმარისი იყოს მხოლოდ რაიმე სახის კონკრეტულ ინფორმაციაზე წვდომა.

შესაბამისად, ბრძანებებში კონკრეტულად უნდა მიეთითოს, რა სახის ინფორმაციაზე/დოკუმენტზე აქვს წვდომა ამა თუ იმ პირს.
3. მიუხედავად იმისა, რომ პირთა ამ წრეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ზოგადად ავალდებულებს, დაიცვან კონფიდენციურობა, თითოეული ასეთი წვდომის შემთხვევაზე, მიზანშეწონილია, მათ მიერ, წერილობითად/სიტყვიერად დადასტურდეს, რომ დაიცავენ ამ ინფორმაციის კონფიდენციურ ხასიათს.
4. პირი, რომლის შესახებ ინფორმაციაც იყო გაცემული ისე, რომ ობიექტური მიზეზებით მიზანშეწონილად არ ჩაითვალა ან ვერ მოხერხდა მისი თანხმობის მოპოვება, პოსტ ფაქტუმ მაინც უნდა იყოს ინფორმირებული ამ შემთხვევების შესახებ, რათა მას ჰქონდეს შესაბამისი რეაგირების - გასაჩივრების საშუალება.

სამინისტროს ინფორმაციით, დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაცია ინახება სპეციალური რკინის კარადებში, რომლის გასაღებიც მხოლოდ შესაბამის სამედიცინო პერსონალს აქვს. თუმცა პრაქტიკაში დოკუმენტების შენახვა მკაცრად არ კონტროლდება და მათზე არასამედიცინო პერსონალსაც მიუწვდება ხელი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია არსებული პრობლემები სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვა/დაარქივებასთან დაკავშირებითაც[6].

---

[1] CPT/Inf (2015) 42, მუხლი 88;

[2] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის ანგარიში, გვ. 178-180, http://ombudsman.ge/uploads/other/4/4585.pdf

[3] MOC 9 17 00783811; თარიღი: 06/10/2017

[4] 2015 წლის 31 დეკემბრის 180 ბრძანებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128278 განისაზღვრა არასრულწოვანებთან მიმართებაში საკითხის რეგულაცია, ხოლო ზრდასრულებთან მიმართებაში - N90-ე ბრძანებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/1339194

[5] მაგალითისთვის, „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №180 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 დეკემბრის N157 ბრძანებით, განისაზღვრა იმ პირთა სია, რომელებსაც რომელთაც აქვთ სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.

[6] სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17/07/2002 წლის ბრძანება N198/ნ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/54136

## ამოცანა 4.5.3. ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის დახვეწა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 40%

ფსიქიკური ჯანმრთელობა ციხისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს როგორც საქართველოში, ისე გლობალურად. ფსიქიკური დაავადებების ტვირთი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ბევრად აღემატება ამ მაჩვენებელს ზოგად პოპულაციაში.

CPT-ის და სახალხო დამცველის ანგარიშებში მუდმივად ფიგურირებს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული გარემო არ არის მხადამჭერი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის - არ არის ადეკვატური დასაქმების, განათლების და სხვა საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, ისევე, როგორც რიგ დაწესებულებებში არ არის სეირნობის და ბუნებრივი განათებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

გარე მონიტორინგის მექანიზმების შეფასებების მიხედვით, არასახარბიელო მდგომარეობაა ფსიქიკური აშლილობის პაციენტების მკურნალობის თვალსაზრისითაც - შეზღუდულია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის შესაძლებლობები, მაღალია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და თვითდაზიანების მაჩვენებელი[1]. აქვე აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ინფორმაციით, სისტემის შიგნით რადიკალურად --4%-მდეა შემცირებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება.

ამოცანის ფარგლებში წარმოდგენილი საქმიანობები არ არის მოცულობითი და გარდა სუიციდის პროგრამისა, პრაქტიკული დანერგვის კომპონენტებს არ მოიცავს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის გაუმჯობესება უნდა შეეხოს არა მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებებს, არამედ ზოგადად ყველა დახურულ დაწესებულებებს. ამ ამოცანის ფარგლებში, შესაბამისად, აუცილებელი იქნებოდა ჯანდაცვის სამინისტროს აქტიური ჩართვა და მნიშვნელოვანი ცვლილებები სტაციონარული და სარეაბილიტაციო მომსახურებების ხარისხის კუთხით.

---

[1] იხ. სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ, 194-200 http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

## აქტივობა 4.5.3.1. პენიტენციური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დამტკიცებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის დოკუმენტი.

დამატებული ინდიკატორები:

დამტკიცებული დოკუმენტი მოიცავს სამოქმედო გეგმას და მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტებს და შესაბამისობაშია CPT-ის რეკომენდაციებთან და სხვა საერთაშორისო

სტანდარტებთან და უზრუნველყოფს პაციენტების უფლებების სათანადო დაცვას, რაც დასტურდება პრევენციის ეროვნული მექანიზმის, არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების და სამოქალაქო სექტორის შეფასებებით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში პენიტენციური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტი არ დამტკიცებულა. შესაბამისად, განვიხილეთ მომიჯნავე საქმიანობები, რომლებიც სისტემის შიგნით ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიულ მიმართულებებზე ახდენს გავლენას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილებით დამტკიცებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს რამოდენიმე საქმიანობას, რომლებიც სასჯელაღსრულების სისტემასაც ეხება. კერძოდ, ამოცანა 4.1. არის პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების თანაბარი სტანდარტების უზურნველყოფა და თავის მხრივ მოიცავს 2015-2016 წლებში განსახორციელებელ 3 ღონისძიებას -- შეფასებასა და საჭიროებების კვლევას, ერთიანი ინტეგრირებული პროგრამის შემუშავებასა და ბოლოს, ამ პროგრამის დანერგვას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს ღონისძიებები განხორცილებებული/დასრულებული არ არის.

ამავე გეგმით გათვალისწინებულია სტიგმის შემცირებისა და სუიციდის პრევენციის პროგრამების ჩამოყალიბება და დანერგვა როგორც სამოქალაქო, ისე პენიტენციურ სისტემაში. სუიციდის პროგრამაზე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ცალკე საქმიანობა, და შესაბამისად, საკითხიც იქ იქნება განხილული; რაც შეეხება სტიგმის შემცირებას,სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელს 200-მდე სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა გადამზადება, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით

მოწოდებული ინფორმაციით, შემუშავებულია "კრიზის მართვის სამოქმედო გეგმა", რომელიც ჯერ დამტკიცებული არ არის და რომელზე დაფუძნებითაც უნდა შემუშავდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარებისა და გაუმჯობესების გეგმა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს პასუხის თანახმად[1], შემუშავდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სკრინინგ ინსტრუმენტი[2], რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია "ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ სისტემაში შემოსვლისას განხორციელდეს სრულფასოვანი სკრინინგი, შეფასდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით კონკრეტული საჭიროებები და განისაზღვროს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტების ჩართულობის საკითხი". ეს ფაქტი მისასალმებელია, თუმცა ინსტრუმენტი პრაქტიკაში არ გამოიყენება, რადგან მისი დანერგვისთვის საჭირო სამართლებრივი რეგულაციების მიღება არ მომხდარა; ასევე, უცნობია, რამდენად ფლობს სამედიცინო პერსონალი ამ ინსტრუმენტის გამოყენებისთვის საჭირო უნარ ჩვევებს.

ასევე, სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, შემუშავებულია 2 კლინიკური გაიდლაინი (რომლებიც დამტკიცებულია ჯანდაცვის მინისტრის მიწე 2017 წელს) და კრიზისის მართვის სამოქმედო გეგმა, რომლის იმპლემენტაციაც სამომავლოდ (არა ამ საანგარიშგებო პერიოდში) იგეგმება. დამატებით, სამინისტროს ინიციატივით, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მხარდაჭერით, შემუშავდა ფსიქიატრიული ექთნების მოსამზადებელი

პროგრამა, რომლის მიხედვით 2017 წელს მომზადდა 15 ტრენერი ექთანი. მიმდინარე წელს კი დაგეგმილია კასკადური ტრენინგები სისტემის ყველა ექთნის გადასამზადებლად

---

[1] MOC 4 17 00787380; თარიღი: 09/10/2017

[2] განხორციელდა ევროპისა საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროეტის "ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II" პროგრამის ფარგლებში

## აქტივობა 4.5.3.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებში პენიტენციური სისტემის მოთხოვნების გათვალისწინება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ფსიქიკური ჯანმრთელობის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები.

დამატებული ინდიკატორები:

განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს პაციენტების უფლებების სათანადო დაცვას, რაც დასტურდება პრევენციის ეროვნული მექანიზმის, არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების და სამოქალაქო სექტორის შეფასებებით

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის მთავარი ამოცანა, სასჯელაღსრულების სისტემის ფარგლებში, სამოქალაქო სექტორთან თანაბარი სტანდარტების მომსახურების უზრუნველყოფაა.

სამინიტროს ინფორმაციით[1], 2016 წელს მომზადებული სამართლებრივი ანალიზის

საფუძველზე მიმდინარეობს კანონპროექტებზე მუშაობა[2].

---

[1] MOC 6 17 00783548; თარიღი: 06/10/2017

[2] 2016 წელს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზების გამოსავლენად, სამართლებრივი ანალიზი მომზადდა. რეკომენდაციები დეტალურია და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოცავს:

- განსხვავებულ რეგულაციებს ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირებთან მიმართებაში, კონკრეტულად კი იძულებით მკურნალობასთან მიმართებაში;
- ადამიანის და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვას (მაგ., არჩევნებში მონაწილეობა);
- იძულებითი მკურნალობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას;
- უშუალოდ მკურნალობისა და განთავსების საკითხებს (მკურნალობის ხარისხი, 18 წლამდე პირების განთავსება მოზრდილთა სტაციონარში და სხვა);
- იმ პირთა სასჯელის მოხდის პირობებს, რომელებიც საჯელის მოხდის დროს განთავსდებიან ფსიქიტრიული პროფილის დაწესებულებაში.

## აქტივობა 4.5.3.3. სუიციდის პრევენციის პილოტირების დასრულება და სრულფასოვანი პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება დაწესებულებებში

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დამტკიცებული პრევენციის პროგრამა. დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა, რომლებშიც მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა

დამატებული ინდიკატორები:

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ან გარე მონიტორინგის სხვა მექანიზმის ანგარიშებში მოცემული შეფასება;
2. პილოტირების დასრულების ანგარიში, რომელიც ასახავს გამოვლენილ ხარვეზებს და მათი გამოსწორების გზებს;
3. ეტაპობრივი დანერგვის გეგმა ყველა დაწესებულებაში.

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 90%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სუიციდი განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პენიტენციური სისტემისთვის. იმ ფსიქოლოგიური სტრესის ფონზე, რაც უკავშირდება პირის პატიმრობას თუ სასჯელის ზომას, სუიციდალური ქცევა ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებში უფრო ხშირია, ვიდრე ზოგად პოპულაციაში.

სამინისტროს ინფორმაციით[1], სუიციდის პროგრამა ამოქმედებულია ყველა დაწესებულებაში[2], რაც მოიცავდა შესაბამისი პერსონალის გადამზადების საკმაოდ მოცულობით სამუშაობს და სერვისის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. შესაბამისად, წარმოდგენილი საქმიანობა პრაქტიკულად განხორციელებულია.

ამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, დასკვნა სუიციდის პროგრამის ეფექტიანობა/არაეფექტიანობაზე ვერ გაკეთდება. ეს მონაცემები მიუთითებს შემდეგზე:

1. სისტემის ფარგლებში არ არის შემუშავებული (იმის გათავალისწინებით, რომ ინფორმაცია იყო მოთხოვნილი და არც საჯაროდ და არც წერილობით ის წარმოდგენილი არ ყოფილა) სუიციდის პროგრამის რუტინული შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა. ორი სახის სტატისტიკური მონაცემები (სუიციდი და სუიციდის მცდელობა), რაც ამ ეტაპზე გროვდება, არასაკმარისია. ბოლო სამი წლის განმავლობაში (2015-2016-2017) სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფ პირთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა გაიზარდა სუიციდის რაოდენობა (2015-2016)[3]. შესაბამისად, მხოლოდ მშრალი მონაცემებით პრობლემის მოცულობაზე ვერ ვიმსჯელებთ.

2. 2017 წელს აღნიშნული წარუმატებელი შემთხვევების რადიკალური შემცირება, სავადაუდოდ, აღრიცხვიანობის მოდელის ცვლილებას უკავშირდება, თუმცა ამის თქმაც ცალსახად შეუძლებელია ფოკუსირებული კვლევის გარეშე.

3. სუიციდის პროგრამა გულისმობს რისკის კლასიფიცირებასაც და მისი ეფექტურობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია სწორედ რისკის მიხედვით კლასიფიცირებული ჯგუფებში სუიციდის დასრულებული და დაუსრულებელი შემთხვევების ანალიზი.

---

[1] MOC 4 17 00781971; თარიღი: 06/10/2017

[2] დამტკიცებულია სასჯელაღსრულების მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით "ბრალადებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ"

[3] 2015 წელს სისტემაში სუიციდის 2 დასრულებული შემთხვევა და 142 მცდელობა დაფიქსირდა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა - 5 სუიციდი და 146 სუიციდის მცდელობა. 2017 წელს კი 2 სუიციდი და 51 მცდელობაა დაფიქსირებული.

## ამოცანა 4.5.4. ნივთიერებადამოკიდებულ **ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა**

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 15%

ამოცანის ფორმულირება ითვალისწინებს მხოლოდ მედიკამენტოზურ მკურნალობას ოპიატების მომხმარებელთათვის და ინდივიდუალურ მკურნალობას (რომელშიც დოკუმენტურად არ დგინდება, რა იგულისხმება) არაოპიატების მომხარებელთათვის, და არა ჰოლისტურ, ზიანის შემცირების მიდგომას, როგორც ამას WHO-ს და UNODC-ის რეკომენდაციები ითვალისწინებს.

## აქტივობა 4.5.4.1. ოპიოიდური დამოკიდებულების დროს მეთადონით ჩანაცვლებითი და შემანარჩუნებელი პროგრამების შემუშავება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შემუშავებულია მეთადონით გრძელვადიანი ჩანაცვლებითი და შემანარჩუნებელი თერაპიის პროგრამა

დამატებული ინდიკატორები:

1. დანერგილია მეტადონის ჩანაცვლებითი (გრძელვადიანი და დეტოქსის) პროგრამა, რომელიც, სხვა კომპონენტებს შორის, ითვალისწინებს: ა) ბუპრენორფინის ხელმისაწვდომობას (ნალოქსონთან კომბინაციაში); ბ) ზედოზირების შემთხვევების აღწერასა და ანგრიშგებას;
2. პირთა %-ული რაოდენობა, საჭიროებების მქონეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, ორივე სქესის მსჯავრდებულთათვის, რომლებიც გადიან შესაბამის მკურნალობას (გძელვადიანი და დექტოქსი);
3. მობინადრეთა შორის ოპიატების მომხარებელთა წილი, რომელიც მოცულია ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასჯელაღსრულების სისტემაში უკვე რამდენიმე წელია ხელმისაწვდომია მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია მოკლევადიანი დეტოქსის ფორმით და მხოლოდ ერთ დაწესებულებაში. სამოქმედო გეგმის მიხედვით, სისტემის ფარგლებში უნდა შექმნილიყო არა მხოლოდ ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივვადიანი თერაპიის გაცემის შესაძლებლობაც. ხანგრძლივი მკურნალობის შემთხვევაში, პირი შესაძლოა მთელი ცხოვრების განმავლობაში იმყოფებოდეს მკურნალობაზე და შესაბამისად, ეს მკურნალობა უნდა იყოს ადგილზე, ადვილად ხელმისაწვდომი.

სამინისტროს ინფორმაციით[1], 2016 წლის 14 ივლისის N92 N01-26/6 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულია “პენიტენციურ დაწესებულებებში ოპიოდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესი”, რომელიც არეგულირებს მკურნალობის მიწოდების პირობებს პენიტენციურ დაწესებულებებში[2]. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ინფორმაციით, ცალკე პროგრამის შემუშავება საჭირო აღარ გახდა, რადგან სასჯელაღსრულების სისტემის შიგნით მიწოდებული მომსახურება გახდა სამოქალაქო სექტორში მიმდინარე პროგრამის ინტეგრიებული ნაწილი (ეს პროგრამა ყოველწლიურად მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ და მას სშჯსდ სამინისტრო ახორციელებს).

პროგრამის პრაქტიკაში დანერგვა კვლავ პრობლემურია:

მიუხედავად განცხადებისა, რომ სისტემის ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდა ე.წ. ხანგძლივვადიანი ჩანაცვლებითი თერაპია, სამინისტროს მონაცემებით, ასეთ მკურნალობაზე არცერთი პირი არ იმყოფება. სამინისტროს ინფორმაციით, გრძელვადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება გადავადებულია 2020 წლამდე (თუმცა, იგივე ჯანმოსა და UNODC-ის რეკომენდაციებით, ეს საბაზისო/ესენციური სერვისია). რაც შეეხება დეტოქსიკაციის პროგრამას, ჩართულ პირთა რაოდენობა გაზრდილია. ეს თავისთავად პოზიტიურ ფაქტად ვერ ჩაითვლება, რადგან დეტოქსის არგანხორციელების შემთხვევაში, პირი უბრალოდ აღკვეთის მდგომარეობაში აღმოჩნდება და ეს სერვისი წარმოდგენს პრაქტიკულად გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. ამ პირთა შორის, დაახლოებით ნახევარი სამოქალაქო სექტორში მეტადონის პროგრამის ბენეფიციარი.

მომსახურება ხელმისაწვდომი სასჯელაღსრულების მხოლოდ 3 (#2, 8 და 18) დაწესებულებაშია. ეს არის ზრდა გასულ პერიოდთან შედარებით, როდესაც მომსახურება მხოლოდ 1 დაწესებულებებაში იყო ხელმისაწვდომი.

---

[1] MOC 0 17 00783075; თარიღი: 06/10/2017

[2] მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამაში ახლად ჩართულ პატიმართა მაჩვენებელი:

2015 წელი: 313 (ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა -- 9 716)

2016 წელი: 321 (ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა --9 334)

2017 წელი*: 445 (ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა -- 9,359) * ნოემბრის ჩათვლით

# აქტივობა 4.5.4.2. არაოპიოიდურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმართა შესაბამისი მკურნალობა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მკურნალობის პროცესში ჩართულ არაოპიოიდურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმართა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

მობინადრეთა შორის არაოპიატების მომხარებელთა წილი, რომელიც მოცულია შესაბამისი თერაპიის პროგრამით.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], არაოპიატების მიმხმარებელთათვის რაიმე სახის პროგრამა არ ჩამოყალიბებულა, თუმცა „არაოპიოიდური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დიაგნოსტირებაში, მკურნალობასა და მართვაში, ფსიქიატრთან ერთად, საჭიროებისამებრ, მულტიდისციპლინური ჯგუფის ფარგლებში, ჩართულია ექიმი-ნარკოლოგი."

მომსახურების შედეგების თაობაზე მსჯელობა შეუძლებელია მის პრაქტიკულ ასპექტებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო. ამასთან, გაურკვეველი მიზეზებით, 2017 წლიდან სამინისტრო აღარ აწარმოებს არაოპოიდურ ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის სტატიტიკას[2]. შესაბამისად, არაოპიოიდურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმართა მკურნალობის შესახებ არსებული მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

---

[1] MOC 1 17 00782986; თარიღი: 06/10/2017

[2] სასჯელაღსრულების სამინისტროს სტატისტიკის გასული წლების ანგარიშებში მოცემული იყო არაოპიოიდურ ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის უტილიზაციის მაჩვენებელი:

2015 წელი: 1312 (ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა -- 9 716)

2016 წელი: 1110 (ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა --9 334)

# ამოცანა 4.5.5. სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება პატიმართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებზე

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 50%

საქმიანობების შესრულების დაბალი მაჩვენებელი არასახარბიელოა. უშუალოდ სამინისტროს სტრატეგიით, ეს ღონისძიება უფრო მასშტაბურად არის გათვალისწინებული. სამედიცინო პერსონალის გადამზადება/განათლების პროცესში უნდა იყოს რეგულარულობა (მაგ., სავალდებულო კრედიტ-საათები) და მოიცავდეს კლინიკურ (მაგ., კონკრეტული დაავადების მართვა) დამართვით საკითხებს (მაგ., ინფექციის კონტროლი, ხელების დაბანა, პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება და ა.შ.). ზოგადად, ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სისტემის შიგნით არ არის ჩამოყალიბებული ხედვა სასწავლო/საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობაზე, თემატიკასა და რეგულარულობაზე.

მისასალმებელია, რომ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება როგორც სამედიცინო, ისეარასამედიცინო პერსონალის რეგულარული გადამზადება. 2016-2017 წლებში მომზადება გაიარა, როგორც სამედიცინო, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის არასამედიცინო პერსონალმა თემაზე „ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია" (ჯამში 2965-მა მოსამსახურე). აღნიშნული თემატიკა აგრეთვე ინტეგრირებულია სავალდებულო მომზადების სასწავლო კურსში ( 2016 წელს - 2699 მოსამსახურე ; 2017 წელს - 809 მოსამსახურე).

# აქტივობა 4.5.5.1. სამედიცინო პერსონალის მომზადებისათვის საჭირო სასწავლო პროგრამებისა და მასალების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების განახლება/გაუმჯობესება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა

დამატებული ინდიკატორები:

1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში ადასტურებს სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
2. შემუშავებულია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის მოდელი.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში საუბარია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის შექმნაზე, რაც უდავოდ ამბიციური მიზანია, მაგრამ არ განხორციელებულა.

სამინისტროს ინფორმაციით[1], სამედიცინო პერსონალისთვის ორი სასწავლო პროგრამა შემუშავდა[2]:

1. „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა" (2016 წ.)
2. გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის სწავლებისათვის და გადამზადებისთვის (2016).

ორივე პროგრამის მნიშვნელობის მიუხედავად, მათთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემა არსებობს:

- გრძელვადიანი პროგრამა ფოკუსირებულია შესატყვის ნორმატიულ აქტებსა და პენიტენციური სისტემის სპეციფიკაზე და მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს პირების კომპეტენციის ზრდას სამედიცინო კუთხით[3];
- არ მომხდარა პროგრამების განახლება;
- სასურველია არსებობდეს უფრო ჩაღრმავებული უწყვეტი/დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების შესაძლებლობები ზოგად კლინიკურ კომპეტენციებში.

---

[1] MOC 0 17 00773147; თარიღი: 03/10/2017

[2] შემუშავებულია ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივ პროექტის -"ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში" ფარგლებში

[3] მაგ., პირველადი სამედიცინო შემოწმება (2 სესია -3 საათი), შიმშილობის მართვა (2 სესია -3 საათი), ფსიქიკური ჯანმრთელობა (4 სესია - 6 საათი) და ა.შ.

# აქტივობა 4.5.5.2. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის

## თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო პროგრამების საშუალებით პატიმრებთან მოპყრობის, ჯანმრთელობის უფლების დაცვის, ადამიანის უფლებების დაცვის, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. თითოეული სასწავლო პროგრამის ფარგლებში მოზადებული/გადამზადებული სამედიცინო მუშაკების რაოდენობა.
2. სასწავლო პროგრამის გავლა სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სავალდებულო ხასიათისაა.

დამატებული ინდიკატორები:

1. დანერგილია პრე და პოსტ ტესტირების ფორმები, რომლებიც ადასტურებს პროგრამების ეფექტურობას;
2. გადამზადებული თანამშრომლების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების გამოყოფით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], სამედიცინო პერსონალი გადამზადდა დაზიანებების აღრიცხვაში[2], სუიციდის პრევენციასა[3] და რისკის განსაზღვრაში[4]. 2017 წლის მეოთხე კვარტლიდან კი მიმდინარეობს ნორმატიულ აქტებზე ფოკუსირებული გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის სწავლებისათვის[5]

სამინისტროს მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გარდა პროგრამების ხარვეზებისა, რომლებიც 4.5.5.1 საქმიანობის შეფასებისას

განვიხილეთ, გადამზადების პროგრამებით სამედიცინო პერსონალის სრული მოცვა არ განხორციელებულა; არსად იკვეთება, რომ სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სასწავლო პროგრამების გავლა სავალდებულო გახდა; სამედიცინო პერსონალის გადამზადება ჯერაც არ ხორციელდება 2016 წელს შემუშავებული გრძელვადიანი სასწავლო პროგრამით, რომელზეც 4.5.5.1 საქმიანობაში იყო საუბარი.

---

[1] MOC 0 17 00773147; თარიღი: 03/10/2017

[2] „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა" - ტრენინგი; 2016-2017 წლებში გადამზადდა 145 სამედიცინო მუშაკი;

[3] „სუიციდის პრევენცია" - ტრენინგი; გადამზადდა 52 პირი, აქედან 6 სამედიცინო მუშაკი

[4] ,,ზრდასრული ადამიანების სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლი (SAAP)" - ტრენინგი; სულ 18 მონაწილე, აქედან, 4 - სამედიცინო პროფილის

[5] 2017 წლის ბოლო კვარტალში კურსი უნდა გაევლო 15 პირს

# ამოცანა 4.5.6. ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისთვის ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 25%

ამოცანის ფარგლებში მნიშვნელოვანი იქნებოდა, დაკონკრეტებულიყო, რომელ მოწყვლად ჯგუფებზე იქნებოდა აქცენტი გაკეთებული. ამოცანა საკმაოდ ფართოა, ხოლო მის ქვეშ მოაზრებული ერთი საქმიანობა, რომელიც, თავისთავად, არასაკმარისად განხორციელდა, არ ასახავს ამოცანის მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებებს.

# აქტივობა 4.5.6.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლებაგაუმჯობესება, სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული თემატიკის შეტანა, ჯანმრთელობის დაცვის უფლების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფის მიზნით, სისტემის სამედიცინო პერსონალის მომზადება/გადამზადება

# სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ადეკვატური **სამედიცინო მომსახურების საკითხებზე - საერთაშორისო რეკომენდაციებისა და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით**

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა;
2. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
3. ძირითად პროგრამებში აღნიშნული თემატიკის შესაბამისი სესიების რაოდენობა;
4. მომზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა;

დამატებული ინდიკატორები:

გადამზადებული თანამშრომლების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების გამოყოფით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 25%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], მოწყვლადი ჯგუფების უფლებებთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული აქტების თაობაზე სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის შესაბამისი შინაარსი გათვალისწინებულია "ხანგრძლივვადიანი გადამზადების პროგრამაში"[2].

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ახალი პროგრამების მომზადებას, არსებულების რევიზიასა, ტერნინგების განხორციელებას.

სასურველია, არსებობდეს მოკლევადიანი პროგრამაც მოცვის გაფართოვების მიზნით და გათვალისწინებული იყოს სამედიცინო პერსონალის გადამზადება მოწყვლადი/განსაკუთრებული საჭიროების/მაღალი რისკის ჯგუფების სამედიცინო მომსახურების გაწევის სპეციფიკურ საკითხებში ( შშმ პირები, ასაკოვანი მოსახლეობა, ლგბტი პირები, და სხვა).

[1] MOC 0 17 00773147; თარიღი: 03/10/2017

[2] იხ. საქმიანობები 4.5.5.1 და 4.5.5.2

## მიზანი 4.6. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 50.9%

მრავალრიცხოვანი ამოცანები მიზნის მიღწევისთვის ერთნაირად ადეკვატური არ არის. მაგალითად, გაუგებარია, რა განსხვავებული ღონისძიებებია დაგეგმილი მსჯავრდებულ ქალთათვის ბანგკოკის წესებით გათვალისწინებული გენდერული სპეციფიკის შესაბამისად. სერიოზული ხარვეზია, რომ არაფერია დაგეგმილი ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური და სხვა უმცირესობების უფლებების გაუმჯობესების კუთხით. როგორც ხშირ შემთხვევაში, აქაც არ განხორციელებულა საჭიროებათა კვლევა შესაბამის ფოკუს ჯგუფებში და მისი შედეგების მიხედვით ღონისძიებების დაგეგმვა. ამგვარი უსისტემო მიდგომა კი მიზნის მიღწევას აძნელებს.

## ამოცანა 4.6.1. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიის უფლებების სწავლება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 100%

ამოცანა და საქმიანობა ფაქტობრივად ერთი და იგივეა. სასურველი იქნებოდა, სატრენინგო მასალის შემუშავება ცალკე საქმიანობად ყოფილიყო გამოყოფილი. მოცემული ერთადერთი საქმიანობის არასრულყოფილი შესრულება კი, თავის მხრივ, ამოცანის განხორციელებას არ უზრუნველყოფს.

## აქტივობა 4.6.1.1. სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა სასწავლო პროგრამაში, რომლებსაც შეხება აქვთ ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან, პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიის უფლებების შესახებ საგნის დამატება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სასწავლო პროგრამაში შესულია საგანი პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიები (ქალები, არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უცხოელი პატიმრები, ხანდაზმული პატიმრები, უვადო ან გრძელვადიანი პატიმრები, ლგბტ პატიმრები).

დამატებული ინდიკატორები:

1. გადამზადებული თანამშრომლების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების გამოყოფით;
2. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრების უფლებების საკითხებში - ექსპერტული შეფასებები;
3. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმა ადასტურებს სასწავლო კურსის ეფექტურობას.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

# შეფასება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხები მოცულია სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში[2]. ეს თემა ინტეგრირებულია სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების, სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების, ახალ - მოსამსახურეთა მომზადების პირველი და მეორე დონის სასწავლო პროგრამებშიც, რომლებიც 2017 წლის სექტემბერში დაიწყო[3].

სასწავლო ცენტრმა ასევე მოგვაწოდა სასწავლო თემატიკა და მასალები, რომლებიც ადასტურებს განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მოცვას სასწავლო პროგრამით.

---

[1] MOC 8 17 00773146; თარიღი: 03/10/2017

[2] აღნიშნულ თემატიკაზე 2016 წელს მომზადება გაიარა 2508 მოსამსახურემ, 2017 წელს - 809-მ

[3] წლის ბოლომდე მომზადება/გადამზადება უნდა მიეღო:

პირველი დონის სასწავლო პროგრამით - 14 მოსამსახურეს 5 ს/ა დაწესებულებიდან,

მეორე დონის სასწ. პროგრამით - 52 მოსამსახურეს 9 დაწესებულებიდან.

## ამოცანა 4.6.2. არასრულწლოვან ბრალდებულებთან და **მსჯავრდებულებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა**

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 5%

ამოცანა, რომელიც რამდენიმე განსხვავებულ მიმართულებებს მოიცავს, მოქცეულია ერთადერთ საქმიანობაში, რომელიც, თავის მხრივ, ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

## აქტივობა 4.6.2.1. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დებულების დამტკიცება, არასრულწლოვანთა პვგ ადგილობრივი საბჭოს დებულების დამტკიცება, საჭიროების მიხედვით ნორმატიული ცვლილებების შემუშავება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

არასრულწლოვანთა დაწესებულების დამტკიცებული დებულება; არასრულწლოვანთა პვგ ადგილობრივი საბჭოს დამტკიცებული დებულება; საჭიროების მიხედვით შემუშავებული ნორმატიული ცვლილებები

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 5%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების[1] და არასრულწლოვანთა პვგ ადგილობრივი საბჭოს დებულება არ დამტკიცებულა. ამ უკანასკნელზე სამინისტრომ გვაცნობა, რომ არასრულწლოვანთათვის განსხვავებული რეგულაციების შემოღება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული, ვინაიდან დღეს არსებული დებულება[2] სრულად მოიცავს ყველა იმ საკითხს, რაც აუცილებელია არასრულწლოვანთა

ადგილობრივი საბჭოს საქმიანობისთვის.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N118 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებით[3] არასრულწლოვან მსჯავრდებულებს მიეცათ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლება. თუმცა ამავდროულად, აიკრძალა მიმოწერა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის[4].

---

[1] იგულისხმება 14-21 წლამდე მსჯავრდებულების სპეციალიზებული სარეაბილიტაციო დაწესებულების დებულება, რომლის დამტკიცებაც აღარ დგას დღის წესრიგში, ვინაიდან თავად დაწესებულების შექმნა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

[2] იგულისხმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N138 ბრძანება

[3] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 21 აგვისტოს N86 ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/3778039

[4] ვინაიდან კანონმდებლობაში სხვადასხვა დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებს შორის მიმოწერის ფორმალური აკრძალვა არ იყო, დამკვიდრებული პრაქტიკით, ნათესავებს ან ოჯახის წევრებს, როგორც წესი, ეძლეოდათ სხვადასხვა დაწესებულებებიდან წერილებით კომუნიკაციის საშუალება

## ამოცანა 4.6.3. არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგის ჩატარება პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა იმ თანამშრომლისთვის, ვისაც სამსახურებრივი შეხება აქვს არასრულწლოვან პატიმრებთან, პრობაციონერებთან

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 70%

ამოცანის შესასრულებლად სამოქმედო გეგმა ადეკვატურ საქმიანობებს ითვალისწინებს. მისასალმებელია, რომ არასრულწლოვანთა საჭიროებებზე სასწავლო პროგრამების შემუშავებაში იმთავითვე იქნა გათვალისწინებული საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან თანამშრომლობა. სამწუხაროა, რომ ამგვარად შემუშავებული პროგრამით, საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვნებთან მომუშავე ყველა თანამშრომლის გადამზადება ვერ მოხერხდა.

## აქტივობა 4.6.3.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა; გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

დამატებული ინდიკატორები:

1. პროგრამები მომზადებულია საჭიროებათა კვლევისას გამოვლენილი საკითხების გათვალისწინებით;
2. გადამზადებული თანამშრომლების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში;
3. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმა ადასტურებს გადამზადების ეფექტურობას.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], 2017 წელს, UNICEF-ს და ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოწვეული ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე სპეციალისტების გაძლიერების სასწავლო პროგრამა ,,პენიტენციური სისტემის ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მომუშავე თანამშრომელთა (სოციალურ მუშაკთა, ფსიქოლოგთა) გადამზადება“ (40 აკადემიური საათი). შემუშავდა სასწავლო კურსი (20 აკადემიური საათი) იმ მსჯავრდებულებთან მომუშავე მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც არასრულწლოვანების პერიოდში ჩაიდინეს დანაშაული.

---

[1] MOC 9 17 00772750; თარიღი: 03/10/2017

## აქტივობა 4.6.3.2. არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მოზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი

## თავისებურებების შესახებ

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულების სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

არასრულწლოვან ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან მომუშავე ყველა თანამშრომელი გადამზადებულია.

დამატებული ინდიკატორები:

1. გადამზადებული თანამშრომლების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში;
2. ტრენინგის შინაარსი უზრუნველყოფს თანამშრომლების მომზადებას "პეკინის წესების" და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2008)11 შესაბამისად;
3. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმა ადასტურებს სასწავლო კურსის ეფექტურობას.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], 2015 წელს UNICEF-ის და ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა სპეციალიზაციის სასწავლო კურსი ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“ (24 აკადემიური საათი), რომლითაც 2015-2017 წლებში სპეციალიზაცია გაიარა პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა იმ თანამშრომელმა, ვისაც სამსახურებრივი შეხება აქვს არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან (სულ 131 პირი, აქედან 104 - 2015 წელს).

2017 წელს პროგრამით ,,პენიტენციური სისტემის ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მომუშავე თანამშრომელთა (სოციალურ მუშაკთა, ფსიქოლოგთა) გადამზადება“, 2017 წლის ოქტომბერში უნდა გადამზადებულიყო პენიტენციური დაწესებულებების 30 მოსამსახურე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ფსიქოლოგიისა და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკაში, 2016-17 წლებში, ს/ა დაწესებულებების 30 თანამშრომელი გადამზადდა, აქედან 5 - N11 დაწესებულებიდან.

ვინაიდან არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებაში 100-მდე თანამშრომელია, არასრულწლოვნები კი, გარდა აღნიშნული დაწესებულებისა, შეიძლება განთავსებულები იყვნენ N5 (გოგონები), N2 და N8 დაწესებულებებში (ამ ორ შემთხვევაში, ძირითადად - ბრალდებულები), სპეციალური სასწავლო კურსებით გადამზადებულთა რიცხვი, საანგარიშო პერიოდში, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

---

[1] MOC 9 17 00772750; თარიღი: 03/10/2017

## ამოცანა 4.6.4. პატიმარ ქალთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების შემდგომი გაუმჯობესება „ბანგკოკის წესების“ შესაბამისად

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 70%

საშხაპეების გაუმჯობესების გენდერული სპეციფიკა გაურკვეველია. თუმცა ქალთა დაწესებულებაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებები საკმაოდ მნიშვნელოვანია და საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს დასახული ამოცანის ჯეროვან განხორციელებას. სასურველი იქნება, მომავალში მაინც განხორციელდეს ქალი პატიმრების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და მათი ასახვა შესაბამის ნორმატიულ აქტებსა თუ პრაქტიკულ ღონისძიებებში.

## აქტივობა 4.6.4.1. სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი ქალი პატიმრების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მოხსენება/ანგარიში გამოვლენილი სპეციფიკური საჭიროებების შესახებ; მოხსენება/ანგარიში განხორციელებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლოო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

ქალი პატიმრების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ სპეციალური ანგარიში არ მომზადებულა, სამინისტროს კომენტარები კი ცხადყოფს, რომ აღნიშნულის საპირწონედ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი განიხილება, რომელიც 2015 წლიდან მიმდინარეობს და ყველა მსჯავრდებულ ქალს შეეხო, თუმცა სახალხო დამცველის შეფასებით, „ინდივიდუალური გეგმები ზოგადი ხასიათისაა, სრულყოფილად არ ასახავს მსჯავრდებულის საჭიროებების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ ჩატარებულ სამუშაოს.“[1]

სამინისტროს მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციით, „[2017 წელს] N5 პენიტენციური დაწესებულების შემთხვევის მმართველებთან თანამშრომლობით PRI-ის წარმომადგენლებმა შეისწავლეს 68 ძალადობის მსხვერპლი ქალი მსჯავრდებულის შემთხვევა, გამოავლინეს საჭიროებები და შესთავაზეს მომსახურებები (...).“

---

[1] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 49

## აქტივობა 4.6.4.2. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (საშხაპეები)

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

საქმიანობა 4.6.4.2 გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (საშხაპეები) – 100%

სამინისტროს ინფორმაციით[1], N5 პენიტენციურ დაწესებულებაში, შშმ პირებისათვის სარეჟიმო კორპუსების შესასვლელებში, მოეწყო სპეციალური ამწეები და პანდუსები, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა სასწავლო ოთახებში და საკნებში.

სამდივნოს შუალედური ანგარიშის მიხედვით, ქალთა N5 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საკნები, საშხაპეები და აღიჭურვა განახლებული სავენტილაციო სისტემებით; სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა სამედიცინო დანიშნულების ოთახები; დაწესებულებაში მოეწყო ფიტნესის ოთახები.

[1] MOC 3 17 00781114; თარიღი: 05/10/2017

## ამოცანა 4.6.5. ქალ პატიმართა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 40%

ბანგკოკის წესები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პატიმარ ქალთათვის ისეთი აქტივობებისა და პროგრამების შეთავაზებაზე, რომლებიც გენდერის შესაბამის საჭიროებებს ითვალისწინებს. ქალთა რეაბილიტაციისთვის დაგეგმილი საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვანია და ამოცანის შესრულებასაც უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, მათი განხორციელების კუთხით მიღწეული პროგრესი არც ისე მაღალია და მომავალშიც ინტენსიური მუშაობის საგანი უნდა გახდეს. სასურველია, გენდერული თვალსაზრისით გადაიხედოს და ქალების სპეციფიკურ საჭიროებებს მოერგოს ის სარეაბილიტაციო პროგრამები და აქტივობები, რომლებსაც დაწესებულება მსჯავრდებულ ქალებს სთავაზობს.

## აქტივობა 4.6.5.1. მცირე დასაქმების კერების ჩამოყალიბება ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დასაქმებულ მსჯავრდებულ ქალთა მზარდი პროცენტული რაოდენობა; ახლადგახსნილი დასაქმების კერების რაოდენობა

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

მსჯავრდებულ ქალთა დასაქმების საკითხის მიმართ სისტემური მიდგომა არ არსებობს. სამკერვალო[1] და სილამაზის სალონი, რომელთა შესახებ სამინისტრომ ინფორმაცია მოგვაწოდა[2], წლებია, ფუნქციონირებს N5 დაწესებულებაში და მათი არსებობა ვერ ჩაითვლება აღნიშნული საქმიანობის შესრულებად. აქვე დადებითად აღსანიშნავია, 2016-2017 წლებში, მცირე საწარმოებსა და ინდივიდუალურ საქმიანობებში ჩართული ქალების მზარდი პროცენტული მაჩვენებელი - 20% 2016, ხოლო 26% 2017 წელს[3].

[1] ორგანიზებას უწევს შპს „ქალი და ბიზნესი“

[2] MOC 6 17 00785762; თარიღი: 07/10/2017

[3] სამკერვალოში 2016 წელს დასაქმებული იყო 35, ხოლო 2017 წელს - 32 მსჯავრდებული; სილამაზის სალონში 2016 წელს დასაქმებული იყო 2, ხოლო 2017 წელს - 3 ქალი; 2016 წელს ინდივიდუალურ საქმიანობას ეწეოდა 14, ხოლო 2017 წელს - 29 ქალი. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში არ განიხილება სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა, ვინაიდან საქმიანობა მცირე დასაქმების კერებს შეეხება.

## აქტივობა 4.6.5.2. ქალ მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

უმაღლესი განათლების პროგრამებში ჩართულ ქალთა რაოდენობა.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

როგორც უკვე აღვნიშნეთ[1], საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც ქალ მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღების საშუალება მიეცემათ, მხოლოდ 2018 წლიდან ამოქმედდება.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით[2], 2017 წელს, სასჯელაღსრულებისა და განათლების სამინისტროებისა და უმაღლესი სასწავლებლების შეთანხმების საფუძველზე, დისტანციური სწავლების პროგრამაში ჩაერთო 1 ბრალდებული და 1 მსჯავრდებული ქალი. აღნიშნული მექანიზმი საგამონაკლისო ხასიათს ატარებს, შესაბამისად, პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად ვერ ჩაითვლება.

[1] იხ. საქმიანობა 4.4.2.3

[2] MOC 3 17 00775481; თარიღი: 04/10/2017

## აქტივობა 4.6.5.3. ქალ მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; ფსიქოსოციალურ პროგრამებში ჩართული ქალი პატიმრების; რაოდენობის პროცენტული ზრდა

დამატებული ინდიკატორები:

1. არსებული პროგრამების რაოდენობა;
2. განახლებული ან დამატებული პროგრამების რაოდენობა;
3. პროგრამების ხანგრძლივობა/აღწერილობა;
4. პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულ ქალთა %-ული რაოდენობა საჭიროებების მქონეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში;
5. მსჯავრდებულ ქალთა რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს/შეწყვიტეს პროგრამა გათავისუფლების გამო/საკუთარი ინიციატივით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-31

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით, ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ამუშავდა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“, რომელშიც 2016 წელს 9, 2017 წელს კი 5 მსჯავრდებული ქალი იყო ჩართული[1].

სასჯელაღსრულების სამინისტრომ ასევე გვაცნობა[2], რომ საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულ ქალთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში ცვლილებები არ

განხორციელებულა.

სამინისტრომ ელექტრონული სახით მოგვაწოდა ბენეფიციართა სია, საიდანაც გაირკვა, რომ მსჯავრდებული ქალების დიდმა ნაწილმა მხოლოდ მოკლევადიანი ფსიქო-სოციალური ტრენინგები გაიარა, დაახლოებით 23% კი ჩართული იყო ფსიქო-სოციალურ პროგრამებსა და თერაპიებში[3].

---

[1] საგულისხმოა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N161 ბრძანების მიხედვით, ამ პროგრამის დანერგვა ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა მომხდარიყო https://matsne.gov.ge/ka/document/view/2641522

[2] MOC 2 17 00785740; თარიღი: 06/10/2017

[3] ფსიქო-სოციალური ტრენინგები 2016 წელს გაიარა 226-მა მსჯავრდებულმა ქალმა, ხოლო 2017 წელს - 189; პროგრამებსა და თერაპიებში 2016 წელს 60, ხოლო 2017 წელს - 59 ქალი მონაწილეობდა.

## აქტივობა 4.6.5.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში, საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები.

დამატებული ინდიკატორები:

ცვლილებების განხორციელებისას გათვალისწინებულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციები.

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 70%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამდივნოს შუალედური ანგარიშის თანახმად, ქალი პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით, რაც დარეგულირებულია

დაწესებულების დებულებით.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით[1], ქალი მსჯავრდებულებისთვის ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა არ მომხდარა.

---

[1] MOC 3 17 00781114; თარიღი: 05/10/2017

## ამოცანა 4.6.6. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 100%

ამ ამოცანით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელობა ხაზგასმულია ბანგკოკის წესებში. ერთადერთი საქმიანობა, რომელიც ამოცანის შესასრულებლად მოიაზრება, რამდენიმე საკითხს აერთიანებს, რომლებიც უმჯობესი იყო, განცალკევებით ყოფილიყო წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამები საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა. თუმცა დატრენინგებული თანამშრომლების რიცხვი საკმაოდ დაბალია, რის გამოც აღნიშნული ამოცანის შესრულება მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებულია.

## აქტივობა 4.6.6.1. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლება და გაუმჯობესება, სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში აღნიშნული თემატიკის შეტანა, პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერულ საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

**ინდიკატორი:**

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები

მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მომზადებული და განახლებული პროგრამების რაოდენობა;
2. ძირითად პროგრამებში აღნიშნული თემატიკის შესაბამისი სესიების რაოდენობა;
3. ჩატარებული ტრენინგებისა და მომზადება გავლილი თანამშრომლების რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

1. პროგრამების შინაარსი უზრუნველყოფს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას გენდერულ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.
2. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმებით დასტურდება სასწავლო კურსის ეფექტურობა;
3. გადამზადებული თანამშრომლების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების გამოყოფით.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], 2017 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა ახალი პირველი და მეორე დონის სასწავლო კურსები სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამსახურეებისათვის. სასწავლო კურსები, სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად, მოიცავს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებსაც[2]. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლება 2017 წლის სექტემბრიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდა[3].

სამინისტრომ, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, მოგვიანებით დააზუსტა, რომ აღნიშნული თემატიკა ყოველთვის შედიოდა პენიტენციური მოსამსახურეების მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამაში და ყველა მოსამსახურეს გავლილი აქვს შესაბამისი სასწავლო კურსი[4].

იმავე წყაროს თანახმად, 2017 წლის ოქტომბერში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამაზე „ძალადობრივი ქცევისა და დამოკიდებულების მოდიფიკაცია“, რომლის მიხედვითაც ტრენინგის ჩატარება 2017 წლის IV კვარტალში იგეგმებოდა (ერთი ჯგუფი - 15 მონაწილე)[5].

---

[1] MOC 1 17 00773148; თარიღი: 03/10/2017

[2] ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თანასწორობა და შემწყნარებლობა, გენდერული თანასწორობა, ძალადობის (მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში

ძალადობა) აღკვეთა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა; მოწყვლადი ჯგუფები (მათ შორის ქალები), მათი უფლებები და მათთან მუშაობის სპეციფიკა; სასჯელაღსრულების სისტემაში წამების და სხვა არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენცია; ეფექტური კომუნიკაცია; აგრესიის, ძალადობრივი ქცევის მართვა და სხვა.

[3] პირველი დონის სასწავლო კურსი - 14 მოსამსახურე; მეორე დონის სასწავლო კურსი - 52 მოსამსახურე

[4] გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის თემატიკაზე 2016-2017 წლებში მომზადება გაიარა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2708 მოსამსახურემ: 2016 წელს - 2483; 2017 წელს - 305.

[5] ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია არ მიგვიღია.

## ამოცანა 4.6.7. პატიმარ ქალთა პირადი ცხოვრების უფლება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 65%

პატიმარ ქალთა რეაბილიტაციისთვის მნიშვნელოვანია მათი ოჯახის წევრებთან, მცირეწლოვან შვილებთან ურთიერთობის სათანადოდ უზრუნველყოფა. დაგეგმილი საქმიანობებიც ამოცანის ადეკვატურია. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობები საკმაოდ კარგად უზრუნველყოფს ამოცანის შესრულებას, მაგრამ მსჯავრდებულ ქალთა მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობის ასპექტები გასაუმჯობესებელია.

## აქტივობა 4.6.7.1. N5 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემანებისათვის შექმნილი ინფრასტრუქტურის სრულყოფილად ამოქმედება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

№5 დაწესებულებაში განხორციელებული გრძელვადიანი პაემანების სტატისტიკური მაჩვენებელი.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

### შეფასება

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით[1], ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისთვის განკუთვნილი ოთახები წარმოადგენს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელს, რომლებიც უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი პირობით[2]. აღნიშნულს ადასტურებს სახალხო დამცველის შეფასებაც[3].

---

[1] MOC 3 17 00781493; თარიღი: 05/10/2017

[2] თითოეულ საცხოვრებელ ოთახს აქვს თავისი სამზარეულო და აბაზანა. პაემნის ოთახები უზრუნველყოფილია ძირითადი საყოფაცხოვრებო ნივთებით: საწოლი (საჭიროებიდან გამომდინარე - დამატებით გასაშლელი საწოლი), მაგიდა, სკამები, კარადა, ტუმბო, ტელევიზორი, მაცივარი. აბაზანაში დამონტაჟებულია წყლის გამათბობელი. სამზარეულო მოწყობილია კარადით, წყლის ნიჟარით, ჭურჭლით.

[3] იხ. სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 104

## აქტივობა 4.6.7.2. ბავშვთა მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურებთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის გადახედვა ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით; მოხდეს მათი გარესამყაროსთან შეგუება, რათა დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბავშვთა ტრამვირება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

განახლებულია შესაბამისი პროცედურები და ნორმატიული ბაზა

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

### შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურებთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა განახლდა[2]. პენიტენციურ დაწესებულებაში

განთავსებულ ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა სამ წლამდე ასაკის ბავშვი, მიეცა უფლება, უქმე დღეებში დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ბავშვის მიერ ასაკის მიღწევის გამო დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, ბავშვის გარე სამყაროსთან შეგუების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

ეს სიახლე წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა უცნობია, ითანამშრომლა თუ არა სამინისტრომ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ ცვლილების ინიცირებისას, რომელი სტანდარტით იხელმძღვანელა ან გაითვალისწინა თუ არა არსებული პრაქტიკა ამ მიმართულებით. გასაანალიზებელია, რამდენად ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ბრძანებით განსაზღვრული ერთწლიანი ვადა და რატომ არ არის შესაძლებელი, თუ დედის ქცევა ამის საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ამ ვადის გაგრძელება ბავშვის სრულწლოვანებამდე და მეორე მხრივ, იმავე უფლების გავრცელება სხვა ქალ მსჯავრდებულებზე, რომლებსაც არასრულწლოვანი შვილები ჰყავთ.

---

[1] MOC 7 17 00754334; თარიღი: 27/09/2017

[2] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს N105-N01-57/ნ ერთობლივი ბრძანებები https://matsne.gov.ge/ka/document/view/3791137

# ამოცანა 4.6.8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის შესაბამისად

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 15%

შშმ პირები პენიტენციურ დაწესებულებებში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, ნორმატიული ბაზის სრულყოფა და სათანადო სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, რასაც ამოცანა ითვალისწინებს, ამ ჯგუფის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მისასალმებელი იქნებოდა. სამწუხაროა, რომ ეს მნიშვნელოვანი ამოცანა ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

# აქტივობა 4.6.8.1. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებისა და ახალი რეგულაციების მიღება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ანგარიში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის შესახებ; განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია; ამ საკითხზე ინფორმაციას არც ადამიანის უფლებათა სამდივნოს შუალედური ანგარიში იძლევა.

# აქტივობა 4.6.8.2. შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიმართ მიდგომის სოციალური მოდელის შემუშავება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო
- საქართველოს შრომის
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დამტკიცებულია, ფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებული, შშმ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა ზრუნვის სტანდარტი

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სამინისტროს მიერ ელექტრონული ფორმით მოწოდებული ინფორმაციით, გარე ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის სტანდარტები, რომლებიც ეფუძნება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციას.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სამიზნე ჯგუფის განსაზღვრისა და საჭიროებების

დადგენის ინსტრუმენტის დანერგვა. ჯანდაცვის სამინისტრო ინსტრუმენტის შექმნის ეტაპზეა, რომლის შემდგომაც მოხდება მისი გაზიარება, სტანდარტის დამტკიცება და დანერგვა.

## ამოცანა 4.6.9. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის სპეციალური, ადაპტირებული საცხოვრებელი პირობების შექმნა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 10%

ამოცანა მხოლოდ ერთ საქმიანობას მოიცავს, რომელიც კარგადაა ფორმულირებული. შშმ პატიმრებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა საანგარიშო პერიოდში ამოცანა ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

## აქტივობა 4.6.9.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭიროებათა შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ადაპტირებული ფიზიკური გარემოს შექმნა გონივრული მისადაგების გათვალისწინებით

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ჩატარებული შესწავლის შედეგად გამოვლენილია საჭიროებები;
2. ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გათვალისწინებულია ადაპტირებული ფიზიკური გარემო;
3. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობა.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება პენიტენციურ დაწესებულებებში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობისთვის, ხოლო N5 დაწესებულების შესასვლელები აღიჭურვა ადაპტირებული ამწეებითა და პანდუსებით.

საჭიროებათა კვლევა არ განხორციელებულა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გეგმაც შემუშავებული არ არის.

---

[1] MOC 7 17 00785763; თარიღი: 07/10/2017

# ამოცანა 4.6.10. შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 0%

წარმოდგენილი ამოცანის ფარგლებში მხოლოდ ერთი საქმიანობაა გათვალისწინებული - აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა, რაც თავის თავში მხოლოდ ჯანდაცვის მომსახურებებს (რებილიტაცია, ოკუპაციური თერაპია) გულისხმობს და ამოცანის მიღწევას ვერ უზრუნველყოფს. ამისთვის ბევრად უფრო კომპლექსური ღონისძიებების გატარებაა საჭირო, მათ შორის, შშმ პირების საყოფაცხოვრებო, სოციალური, დასაქმების, განათლებისა და სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით. სავალალოა, რომ ერთადერთი დაგეგმილი საქმიანობაც, შეფასების პროცესში, შეუსრულებლად ჩაითვალა.

# აქტივობა 4.6.10.1. შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა; სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

1. პროგრამების ხანგრძლივობა/აღწერილობა;
2. მსჯავრდებულ შშმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს/შეწყვიტეს პროგრამა გათავისუფლების გამო/საკუთარი ინიციატივით;

3. პროგრამებში ჩართულ მსჯავრდებულთა %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მათ შორის, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების, ასევე მსჯავრდებულთა სქესის გამოყოფით.

**სტატუსი:** არ არის შესრულებული

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით[1], სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციართა აბილიტაცია/რეაბილიტაცია მიმდინარეობს ინდივიდუალური მიდგომების ფარგლებში არასრულწლოვანთა მიმართ 2009 წლიდან ხოლო სრულწლოვანთა მიმართ - 2015 წლიდან და ეტაპობრივად ხელმისაწვდომი ხდება ყველა მსჯავრდებულისათვის.

“ინდივიდუალური მიდგომა” გულისხმობს პირის საჭიროებების შესწავლას და საჭიროებებზე მორგებული მომსახურებას, რაც ისედაც ხდება სამედიცინო მომსახურებისას. შესაბამისად, ამგვარი მიდგომა შესაბამისი პროგრამის არსებობას ვერანაირად ჩაანაცვლებს.

---

[1] MOC 7 17 00785763; თარიღი: 07/10/2017

# ამოცანა 4.6.11. ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 10%

ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო საქმიანობა ადეკვატური და მისასალმებელია, თუმცა იგი არ განხორციელებულა.

# აქტივობა 4.6.11.1. თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და ტრეინინგების ჩატარება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შეხვედრებსა და ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილე ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა

დამატებული ინდიკატორები:

1. ჩატარებული შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით;
2. ტრენინგების შინაარსი უზრუნველყოფს პატიმრების ცნობიერების ამაღლებას შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებში.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სამინისტროს მიერ ელექტრონულად მოწოდებული ინფორმაციით, გარკვეული ფსიქო-სოციალური პროგრამების მოდულები მოიცავს შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებსაც - სტიგმა/დისკრიმინაცია, ტოლერანტობა და სხვა. აღნიშნულ თემატიკაზე საანგარიშო პერიოდში ტრენინგები გაიარა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 2%-ზე ნაკლებმა[1].

---

[1] 2016 წელს ტრენინგი გაიარა 126, ხოლო 2017 წელს - 140-მა მსჯავრდებულმა.

# ამოცანა 4.6.12. უცხოელ პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 30%

ამოცანა სამ საქმიანობას მოიცავს და ფარავს თითქმის ყველა საკითხს, რომლებიც უცხოელი პატიმრებისთვის სასჯელის ღირსეულად მოხდის პირობაა, თუმცა საანგარიშო პერიოდში არცერთი საქმიანობა ჯეროვნად არ განხორციელებულა.

# აქტივობა 4.6.12.1. უცხოელ პატიმრებს მათთვის გასაგებ ენაზე განემარტოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

დამატებული ინდიკატორები:

1. გაწეული ზოგადი და იურიდიული კონსულტაციების სტატისტიკა;
2. თარჯიმანთა ნუსხა მოიცავს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მყოფი უცხოელი პატიმრების სრულ ლინგვისტურ სპექტრს.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 10%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

წინამდებარე ანგარიშზე სამინისტროს კომენტარების მიხედვით, ყველა დაწესებულებაში არსებობს ყველაზე მოთხოვნად 5 ენაზე ნათარგმნი ბროშურები მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უფლებების შესახებ. 2017 წლის განმავლობაში 766-ჯერ მოხდა უცხოელი პატიმრებისთვის თარჯიმანის მომსახურების უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში კი (გვ. 119) აღნიშნულია, რომ უცხოელ პატიმრებს, ენის ბარიერის გამო, უჭირთ კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან, შესაბამისად, არ აქვთ ინფორმაცია და/ან ვერ ახერხებენ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩართვას. უცხოელ პატიმრებს სპორადულად სთავაზობენ ქართული ენის კურსებს. ენობრივი ბარიერის თაობაზე საუბარია სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშშიც (გვ. 51).

# აქტივობა 4.6.12.2. უცხოელი პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო სამედიცინო შემოწმებითა და მომსახურებით, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მონაწილეობით

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში
2. სათანადო სამედიცინო შემოწმებით უზრუნველყოფილია ყველა უცხოელი პატიმარი

დამატებული ინდიკატორები:

უცხოელი პატიმრებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების სტატისტიკა დაწესებულებების მიხედვით

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 30%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

აღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებით სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

სახალხო დამცველის მიხედვით კი იმავე ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრების სამედიცინო მომსახურებით სათანადო უზრუნველყოფა ვერ ხერხდება[1].

---

[1] იხ. სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 235: “ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრების კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით, კი პრობლემატურია კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში იწვევენ თარჯიმანს, ძირითადად, პატიმრებს დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაცია უჭირთ.” სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშშიც არის საუბარი ენობრივი ბარიერის გამო სერვისების ხელმიუწვდომლობაზე (გვ. 51).

# აქტივობა 4.6.12.3. უცხოელი პატიმრების მომზადება გათავისუფლებისთვის

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. შესაბამის საერთაშორისო და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, სამშობლოში დაბრუნების სურვილის მქონე პირთა რაოდენობა, რომელსაც სამინისტრო დაეხმარა დაბრუნებაში;
2. უცხოელ პატიმართა რიცხვი, რომელსაც კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაეწია სათანადო დოკუმენტაციის აღების მიზნით.

დამატებული ინდიკატორები:

მიმართვების საერთო რაოდენობის შეფარდება გაწეულ დახმარებებთან

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

სამინისტროს ინფორმაციით, უცხოელი პატიმრები, რომელთაც გათავისუფლების წინ სამშობლოში დასაბრუნებლად სათანადო დოკუმენტაციის აღების მიზნით ჭირდებათ სათარჯიმნო მომსახურება, ყოველთვის უზრუნველყოფილნი არიან ამ სერვისით.

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში კი, რომელიც ამ საქმიანობის შესრულების ინდიკატორია, უცხოელი პატიმრების მდგომარეობის თაობაზე მხოლოდ არასახარბიელო ინფორმაციაა მოცემული[1].

---

[1] გვ. 233-238 http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

# მიზანი 4.7. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის სრულყოფა

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 57.5%

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჰუმანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს არასაპატიმრო სასჯელების მრავალფეროვნებასა და მათი პრაქტიკაში გამოყენების დახვეწაზე. აღნიშნული მიზნისთვის, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები -პრობაციის სამსახურის განვითარება და პრობაციონერებისთვის სათანადო სერვისების უზრუნველყოფა - ადეკვატურია და აუცილებელია მიზნის მისაღწევად. საანგარიშო პერიოდში, ამ კუთხით, საკმაოდ ეფექტური ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა გარკვეული პრობლემები რჩება, მათ შორის, პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სათანადო უზრუნველყოფისა და ამ კუთხით გრძელვადიანი და ეფექტური სტრატეგიების შემუშავების თვალსაზრისით.

# ამოცანა 4.7.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 95.625%

ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო საქმიანობები რელევანტურია. მისასალმებელია არასაპატიმრო სასჯელების დანერგვისთვის შინაპატიმრობის შემოღება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ისევე, როგორც რისკისა და საჭიროებების შეფასების

შედეგად სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა, რაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რეგულარული და ადეკვატური გადამზადების პირობებში, უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების სისტემის შემდგომ განვითარებას.

## აქტივობა 4.7.1.1. ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს საქმიანობის ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზების შემდგომი დახვეწა

### პასუხისმგებელი უწყება:

- პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ანგარიში ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს მუშაობის შესახებ; ანალიზის შედეგების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორებულია

დამატებული ინდიკატორები:

გამოვლენილი და აღმოფხრვილი ხარვეზების რაოდენობის თანაფარდობა.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2016-12-31

### შეფასება

სამდივნოს შეფასებით, შინაპატიმრობის აღსრულება და მისი ელექტრონული მონიტორინგი ეფექტურად, ხარვეზების გარეშე ხორციელდება.

2017 წლის 28 დეკემბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა მიიღო N146 ბრძანება, რომელიც აწესრიგებს შინაპატიმრობის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სამინისტროს განცხადებით, ბრძანებაში გათალისწინებულია ყველა ის საკითხი, რომელიც 2016 წლიდან მოყოლებული, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ შინაპატიმრობის აღსრულებასთან მიამრთებაში პრობლებური იყო და საჭიროებდა აღმოფხვრას.

## აქტივობა 4.7.1.2. შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის იმპლემენტაცია

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- პრობაციის ეროვნული სააგენტო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ელექტრონულ მონიტორინგში ჩართულ პირთა მზარდი სტატისტიკური მაჩვენებელი.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

# შეფასება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით[1], 2017 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სასამართლომ შინაპატიმრობა 31 არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეუფარდა; სააგენტოს 2017 წლის ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში (2017 წ.) შინაპატიმრობის საქმის წარმოება 40 არასრულწლოვნის მიმართ მიმდინარეობდა[2].

სააგენტოს წერილობითი პასუხის მიხედვით, სავარაუდოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით სრულწლოვან მსჯავრდებულთათვის შინაპატიმრობის შემოღებასთან დაკავშირებით[3], მსჯავრდებულთა რიცხვი გაიზრდება და შესაბამისად, ელ. მონიტორინგის სამმართველოს მუშაობის ანგარიშის მოსამზადებლად შეიქმნება კომისია, რომლის მუშაობაშიც ჩაერთვებიან როგორც სამინისტროს, ასევე გარე ექსპერტები და/ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. სამდივნოს შუალედურ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია 2016 წლის 1 მარტიდან სოციალური მუშაკების მონაწილეობაზე არასრულწლოვანი ბრალდებულების წინასასამართლო პროცესში, რაც მოსამართლისთვის სარეკომენდაციო ხასიათის ანგარიშის მომზადებაში გამოიხატება.

---

[1] წერილი MOC 6 17 00789236; თარიღი: 09/10/2017.

[2] სააგენტოს 2017 წლის ანგარიშში აღნიშნული რაოდენობა მოიცავს მსჯავრდებულებსაც, რომელთა მიმართაც შინაპატიმრობის საქმისწარმოება დაიწყო 2016 წელს და გაგრძელდა 2017 წლის განმავლობაშიც.

[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ[1]“ ქვეპუნქტი.

## აქტივობა 4.7.1.3. ვიდეოპაემანის სერვისის შემდგომი განვითარება; პრობაციის ბიუროების ინფრასტრუქტურის განვითარება

**პასუხისმგებელი უწყება:**

- პრობაციის ეროვნული სააგენტო

**ინდიკატორი:**

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ყოველწლიურად შექმნილია დამატებით ერთი ვიდეოპაემანის წერტილი

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 90%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ვიდეოპაემნის სერვისით სარგებლობა შესაძლებელია პრობაციის 10 რეგიონალურ ბიუროში[1] და მოქმედი 15-დან 7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იმავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წელს იგეგმება აღნიშნული სერვისის სხვა ს/ა დაწესებულებების აღჭურვაც.

სააგენტოს 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, გაიხსნა ახალი ოფისი რუსთავში, სადაც დამონტაჟდა ვიდეოპაემნის მოწყობილობაც და გარემონტდა გურჯაანის ოფისი; 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გაიხსნა ახალი რეგიონული ოფისი ოზურგეთში, ვიდეოპაემნის სერვისით სარგებლობის შესაძლებლობით, გარემონტდა სენაკის და ქუთაისის ოფისები.

---

[1] სააგენტოს ვებგვერდის მიხედვით, ამჟამად მოქმედებს 11 რეგიონული ბიურო http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/74 (ბოლო ნახვა: 24.01.2018)

## აქტივობა 4.7.1.4. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება

**პასუხისმგებელი უწყება:**

- პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ყოველწლიურად განახლებულია 3 რეგიონალური ბიუროები

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება (იხ. საქმიანობა 4.7.1.2) აფართოებს არასაპატიმრო სასჯელის - შინაპატიმრობის გამოყენების ფარგლებს და 2018 წლის 1 იანვრიდან იძლევა მისი გამოყენების შესაძლებლობას სრულწლოვან მსავრდებულებთან მიმართებაშიც.

2017 წლის 28 დეკემბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა მიიღო N146 ბრძანება[1], რომელიც ამტკიცებს შინაპატიმრობის გამოყენების ახალ წესს[2].

---

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3957873

[2] იმავე მინისტრის აქამდე მოქმედი 2015 წლის 31 დეკემბრის N178 ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე ვრცელდებოდა

# აქტივობა 4.7.1.5. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები

მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი;
2. მომზადებულია და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 90%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, ამ საქმიანობასთან დაკავშირებით, მინისტრის N39 ბრძანება[1] მოგვაწოდა. ხოლო სამდივნოს ანგარიშში ვკითხულობთ: საანგარიშო პერიოდისთვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მაჩვენებელი შეადგენს 91.13%-ს[2].

როგორც ჩვენთვის ცნობილია, რისკისა და საჭიროების შეფასების კითხვარის შექმნაში, მისი საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მონაწილეობას იღებდნენ შესაბამისი სფეროს ბრიტანელი და გერმანელი ექსპერტები; სააგენტოს ანგარიშებში ასევე მოცემულია ინფორმაცია თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომზადების გავლის თაობაზეც[3].

---

[1] რისკისა და შეფასების კითხვარის ფორმები და მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2820641

[2] აღრიცხვაზე მყოფი 19891 პრობაციონერიდან შეფასება გაუკეთდა 18127–ს

[3] სააგენტოს 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში ტრენინგი 50-მა სპეციალისტმა გაიარა; 2017 წლის ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ სარეაბილიტაციო პროგრამებში მომზადება გაიარა 158-მა თანამშრომელმა, ხოლო რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირებაში მონაწილეობა 24-მა პირმა მიიღო.

# ამოცანა 4.7.2. პირობით მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოების ჩართულობის განვითარება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 20%

ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო საქმიანობები ადეკვატურია. მისასალმებელია პრობაციის სააგენტოს ძალისხმევა პირობით მსჯავრდებულებისთვის სარებილიტაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად, თუმცა სააგენტო, რესურსების სიმცირისა თუ სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობის გამო, ვერ უზრუნველყოფს

ამ საქმიანობების სათანადოდ განხორცილებას.

## აქტივობა 4.7.2.1. პირობით მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება

### პასუხისმგებელი უწყება:

- პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

1. პროგრამების ხანგრძლივობა/აღწერილობა;
2. საჭიროების მქონე პრობაციონერთა და პროგრამებში ჩართულთა რაოდენობის ურთიერთმიმართება;
3. პირობით მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს/შეწყვიტეს პროგრამა სასჯელის დასრულების გამო/საკუთარი ინიციატივით.

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 20%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

ჩვენი წერილობითი მიმართვის საფუძველზე სააგენტომ მოგვაწოდა[1] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 30 მაისის N39 ბრძანება, რომლითაც პირობით მსჯავრდებულთათვის და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთათვის განსაზღვრულია სამი სარეაბილიტაციო კურსი, რომლებში ჩართვის საჭიროებაც მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენისას განისაზღვრება[2].

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშების მიხედვით[3], 2016 წელს ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო პრობაციონერთა 22%[4]; 2017 წელს კი 16%[5]. სააგენტოს კომენტარის მიხედვით, „სარეაბილიტაციო პროგრამებში ერთვებიან მხოლოდ საშუალო და მაღალი რისკის მქონე პირები. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პრობაციონეთა პროცენტული მაჩვენებლის ვარდნა გამოწვეულია საშუალო და მაღალი რისკის მქონე პირობით მსჯავრდებულების რაოდენობის კლებით.“

[1] წერილი MOC 1 17 00787837; თარიღი: 09/10/2017

[2] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის ბრძანება მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2820641

[3] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის ანგარიშში, გვ. 104, პრობაციონერთა და პროგრამებში ჩართულ პირთა განსხვავებული რაოდენობაა მითითებულიhttp://www.moc.gov.ge/images/catalog/items/zzzz.pdf თუმცა სტატისტიკური ანგარიშის მონაცემები (გვ. 54) პრობაციის სააგენტოსას ემთხვევაhttp://www.moc.gov.ge/images/temp/2017/06/02/c95a2d57fa8923d18ce3b0aefd39b75f.pdf

[4] 21453 პრობაციონერიდან 4821

[5] 22857-დან 3566 პრობაციონერი

# აქტივობა 4.7.2.2. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა

## პასუხისმგებელი უწყება:

- პრობაციის ეროვნული სააგენტო

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დასაქმებულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა

დამატებული ინდიკატორები:

1. არსებული დასაქმების პროგრამების რაოდენობა რეგიონებზე მითითებით;
2. პირობით მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს/შეწყვიტეს პროგრამა სასჯელის დასრულების გამო/საკუთარი ინიციატივით.
3. მსურველთა და პროგრამაში ჩართულთა რაოდენობების ურთიერთმიმართება;
4. გადამისამართების მექანიზმი ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებში (სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრი")

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 5%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში პროფესიული გადამზადება და საგანმანათლებლო პროგრამები პრობაციონერთა დაახლოებით 1%-მა გაიარა[1]. იმავე პერიოდში დასაქმდა პრობაციონერთა 0.5%[2].

სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ სააგენტოს მხარდაჭერით პრობაციონერთა მხოლოდ მცირე ნაწილი დასაქმდა. სასურველია, სააგენტოს ჰქონდეს წინასწარ გაწერილი სტრატეგია პრობაციონერების დასაქმების ხელშეწყობის თაობაზე, რომელიც მოიცავს პროაქტიურ ღონისძიებებს პრობაციონერთა ინფორმირებისა და დაინტერესების, ასევე, კერძო სექტორის მოზიდვის თვალსაზრისითაც.

---

[1] 2016 წელს - 240-მა, ხოლო 2017 წელს - 356 პირმა

[2] 2016 წელს, 156 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა (პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 0.7%); აღნიშნული მაჩვენებელი, 2017 წლისთვის, 108 პირს შეადგენდა (პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 0.4%).

# აქტივობა 4.7.2.3. სპორტულ და შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის გაზრდა

### პასუხისმგებელი უწყება:

- პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სპორტულ და შემეცნებით-კულტურულ აქტივობებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

სპორტულ/კულტურულ აქტივობების ჩამონათვალი/რაოდენობა რეგიონების მიხედვით;

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

**შეფასება**

სააგენტოს ანგარიშებში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 3-4% იყო ჩართული[1].

---

[1] 2016 წელს საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში ჩაერთო 878 პრობაციონერი (საერთო რაოდენობის 4%), ხოლო 2017 წელს - 723 (საერთო რაოდენობის 3%).

# მიზანი 4.8. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 85%

მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი. სასურველი იქნება, თუ შემდგომში მეტი ყურადღება დაეთმობა თანამშრომელთა სათანადო მომზადებასა და რეგულარულ გადამზადებას ძალის, სპეციალური საშუალებების გამოყენების, ჩხრეკის პროცედურებში - ყველა იმგვარი ჩარევებში, რამაც შესაძლოა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა გამოიწვიოს.

# ამოცანა 4.8.1. სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 100%

აღნიშნული ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო საქმიანობები ადეკვატურია და ეხმიანება ევროპული ციხის წესებს. სასწავლო ცენტრის აქტიური ძალისხმევაც, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ მისასალმებელია. მეორე საკითხია, რამდენად ახერხებს სამინისტრო თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების მიმართ სისტემური მიდგომის უზრუნველყოფას, სათანადოდ გადამზადებული კადრების შენარჩუნებას ან ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვას.

# აქტივობა 4.8.1.1. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა, სასწავლო პროგრამების განვითარება, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა, სასწავლო მასალების მომზადება, საგამოცდო საკითხებისა და ტესტების მომზადება/გადახედვა

**პასუხისმგებელი უწყება:**

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

**ინდიკატორი:**

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მიმდინარე და ახალი პროგრამების რაოდენობა

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა მოგვაწოდა დეტალური ინფორმაცია იმ ახალი სასწავლო პროგრამების შესახებ, რომელიც დაამატეს 2016-2017 წლებში[1]. ასევე გვაცნობა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნა „შეფასების ხელშეწყობის 6 კაციანი ჯგუფი", რომელმაც, ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლებელია მოიწვიოს სპეციალური ცოდნის მქონე პირები. ჯგუფი ამუშავებს შეფასებისათვის განკუთვნილ კითხვებს და ამზადებს რეკომენდაციის პროექტებს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო ცენტრი თითქმის ყველა პროგრამას ახორციელებს ევროკავშირის, ევროსაბჭოს, IRZ-თან, სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც უდავოდ მეტყველებს სასწავლო ცენტრის მზაობაზე სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

---

[1] წერილი MOC 8 17 00775855; თარიღი: 04/10/2017

# აქტივობა 4.8.1.2. პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, დონორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელებული სასწავლო პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- პრობაციის ეროვნული სააგენტო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ახალი ან/და განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], 2016-17 წლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დაინერგა 21 ახალი პროგრამა[2], რაც უდავოდ მისასალმებელია. სასურველი იქნება, აღნიშნული პროგრამების განხორციელება მომავალში სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღოს.

---

[1] წერილი MOC 8 17 00775855; თარიღი: 04/10/2017

[2] მაგ: ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში - „შესაძლო წამების, და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანებების აღრიცხვა", „ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების მართვა" UNICEF-თან თანამშრომლობით - „პენიტენციური სისტემის ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მომუშავე თანამშრომელთა (სოციალურ მუშაკთა, ფსიქოლოგთა) გადამზადება" და სხვა.

# აქტივობა 4.8.1.3. სასწავლო პროგრამების წინასწარი და განხორციელების შემდგომი შეფასება

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მომზადებულია შეფასების ინსტრუმენტი
2. 
3. შეფასების ანგარიშები

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], ტრენინგების შეფასების ფორმები რეგულარულად ანალიზდება. სამდივნოს ანგარიშის მიხედვით, სასწავლო ცენტრი მუშაობას იწყებს

ტრენინგის ექვსი თვის შემდგომი შეფასების სქემაზე (კითხვარით). აღნიშნული შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი სასწავლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვისთვის გამოიყენება.

---

[1] წერილი MOC 8 17 00775855; თარიღი: 04/10/2017

## აქტივობა 4.8.1.4. სასწავლო ცენტრის ტრენერების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება ახალი მეთოდიკისა და თემატიკის გათვალისწინებით

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

მომზადებული/გადამზადებული ტრენერების რაოდენობა.

დამატებული ინდიკატორები:

1. გადამზადებული ტრენერების %-ული რაოდენობა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში;
2. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმები ადასტურებს სასწავლო კურსის ეფექტურობას.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], 2015 წელს განხორციელდა ტრენერთა ტრენინგები სხვადასხვა თემებზე[2]. IRZ-ის თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წლის მეოთხე კვარტალში გეგმავდა ტრენერობის კანდიდატების მომზადებას თემაზე „ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია და ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარება“.

---

[1] წერილი MOC 8 17 00775855; თარიღი: 04/10/2017

[2] „CPTის სტანდარტები“ (12 მონაწილე); ,,თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მოქალაქეობის არმქონე პირებთან მუშაობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში" (20 მონაწილე); „ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია და ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარება“ (101 მონაწილე); „ტრენინგის დაგეგმარება, ჩატარების მეთოდოლოგია და შეფასების ფორმები“ (19 მონაწილე); „პატიმართა მოწყვლადი ჯგუფების მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები“ (12 მონაწილე).

## აქტივობა 4.8.1.5. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შერჩეულ, სისტემაში (სასჯელაღსრულება, პრობაცია) დასანიშნ კანდიდატთა/კურსანტთა მომზადება ადამიანის უფლებებში, სპეციალური სასწავლო პროგრამების ფარგლებში

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა
2. ტრენინგი გავლილი აქვს ყველა ახლადდანიშნულ თანამშრომელს

დამატებული ინდიკატორები:

1. ტრენინგების შინაარსი უზრუნველყოფს მომავალ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებათა საკითხებში;
2. პრე და პოსტ ტრენინგის შეფასების ფორმები ადასტურებს სასწავლო კურსის ეფექტურობას

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

სასწავლო ცენტრის ინფორმაციით[1], 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 235 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. მათში მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 5068-მა მსმენელმა[2]. სასწავლო ცენტრმა მოგვაწოდა ტრენინგების თემატიკა, რომელიც ადამიანის უფლებების შესახებ საკმარის ინფორმაციას მოიცავს.

[1] MOC 8 17 00775855; თარიღი: 04/10/2017

[2] სამინისტროს აპარატის 229, პენიტენციური დეპარტამენტის 1274-მა, პენიტენციური დაწესებულებების 2875-მა, პრობაციის 663-მა და სხვა უწყებების 19-მა წარმომადგენელმა.

# აქტივობა 4.8.1.6. პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების სპეციალური კურსით გადამზადება და სერტიფიცირება

## პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

## ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

პენიტენციური სამსახურის ყველა მოსამსახურე სპეციალური კურსით გადამზადებული და სერტიფიცირებულია

დამატებული ინდიკატორები:

სპეციალური კურსის შინაარსი უზრუნველყოფს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

სასწავლო ცენტრის იმავე წერილის თანახმად[1], „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 2015-17 წლებში განხორციელდა ამ სამსახურის მოსამსახურეთა (მოქმედი მოსამსახურეები და ახალი მიღებული მოსამსახურეები-კურსანტები) სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების პროცესი. მასში მონაწილეობა მიიღო 2690 მოსამსახურემ[2].

2016-17 წლებში, სასწავლო ცენტრის ელექტრონული ტესტირების პროგრამაში, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, ტესტირება გაიარა 2735 მოსამსახურემ, რომელთაგან მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა და შესაბამისი დონის სერტიფიკატი მიიღო 2668 მოსამსახურემ.

[1] MOC 8 17 00775855; თარიღი: 04/10/2017

[2] 2015წ. – 68 (მოქმედი მოსამსახურე); 2016წ. – 2483 (2194 მოქმედი მოსამსახურე +289 ახალი მიღებული მოსამსახურე(კურსანტი)); 2017 წ. – 139 ( 5 - მოქმედი მოსამსახურე + 134 ახალი მიღებული მოსამსახურე(კურსანტი)).

## ამოცანა 4.8.2. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის ეთიკის კოდექსის განახლება

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 50%

აღნიშნული ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო საქმიანობა რელევანტური და მისასალმებელია. ეთიკის კოდექსის განახლება უზრუნველყოფს სისტემის თანამშრომელთა ქცევის სტადარტისა და ბრლადებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებას, თუ სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს მისი შინაარსის სათანადო გაცნობას თანამშრომლებისთვის.

## აქტივობა 4.8.2.1. ეთიკის კოდექსის განახლება/შემუშავება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N(2012)5 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპის კოდექსის პრინციპების გათვალისწინებით

### პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის მიღებულია განახლებული ეთიკის კოდექსი

დამატებული ინდიკატორები:

1. განახლებული ეთიკის კოდექსი შესაბამისობაშია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის შესაბამის რეკომენდაციასთან;
2. შემუშავებულია პროცედურა, რომლის შედეგად სისტემის ყველა თანამშრომელი იცნობს განახლებულ ეთიკის კოდექსს

**სტატუსი:** ნახევარზე ნაკლები **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 50%

შესრულებულია

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2016-12-31

## შეფასება

პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი[1] მოიცავს მოსამსახურეთა საქმიანობისა და პირადი პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს და პატიმრებთან მოპყრობის ეთიკას, რაც დიდწილად შეესაბამება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს. სასურველია, სამინისტრომ რეგულარულად უზრუნველყოს თანამშრომლების გადამზადება ეთიკის კოდექსის ნორმების პრაქტიკაში უზრუნველსაყოფად, რაც, სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით[2], პრობლემურია.

---

[1] დამტკიცებულია სასჯელაღსრულების მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/3017706

[2] სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2016 წ., გვ. 52

http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

# მიზანი 4.9. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

**მიზნის შესრულების პროგრესი:** 100%

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის" დირექტორის 2017 წლის 24 ოქტომბრის N321/ს ბრძანების საფუძველზე, შემუშავებულია ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა[1], რომლის სამიზნე ჯგუფად განსაზღვრულია ის პირები, რომლებმაც ბოლო 15 წლის განმავლობაში დატოვეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს უფროსის გადაწყვეტილებით, შესაძლოა პროგრამაში ჩაერთოს პირი, რომელმაც უფრო ადრე დატოვა დაწესებულება[2].

---

[1] http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/programa.pdf

[2] მუხლი 29

## ამოცანა 4.9.1. ყოფილ პატიმართა ჯანმრთელობის **მდგომარეობის გაუმჯობესება, იურიდიული დახმარება, პროფესიული გადამზადება/მომზადება და დასაქმებაში ხელშეწყობა**

**ამოცანის შესრულების პროგრესი:** 100%

იუსტიციის სამინისტროს სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრის" საქმიანობის შეფასება განხორციელდა მხოლოდ შესული და დაკმაყოფილებული მიმართვების თანაფარდობის საფუძველზე, ვინაიდან ამ ეტაპზე არ არსებობს ბენეფიციართა წრის განსაზღვრის ინსტრუმენტი.

## აქტივობა 4.9.1.1. ჯანდაცვის არსებული სერვისების მოძიება და ყოფილ პატიმართათვის მათდამი ხელმისაწვდომობის გაზრდა

### პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი"

### ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

ყოფილ პატიმართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებების მრავალფეროვნება და რაოდენობა;

დამატებული ინდიკატორები:

1. მიმართვების რაოდენობის შეფარდება პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობასთან;
2. ყოფილი პატიმრების რაოდენობა რომლებმაც დაასრულეს/შეწყვიტეს პროგრამები.
3. პირთა რაოდენობა, რომლებმაც არ დასრულეს დაწყებული მკურნალობა (ც ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, აივ-ინფექცია/შიდსი) (Lost to follow up)

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით[1], ცენტრის ხელშეწყობით ჯანდაცვის მომსახურება მიიღო 251 ბენეფიციარმა; აქედან 38 ბენეფიციარს იუსტიციის სამინისტროს

საგრანტო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება სრულად დაუფინანსდა, ხოლო 213 ბენეფიციარმა სამედიცინო მომსახურება პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით მიიღო.

---

[1] 2018 წლის 24 აპრილის წერილი N235

## აქტივობა 4.9.1.2. ყოფილი პატიმრებისთვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა; იურიდიული დოკუმენტაციის შედგენაში დახმარება; პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით სასამართლო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა

### პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

### ინდიკატორი:

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით[1], 2016-17 წლებში ცენტრს იურიდიული მომსახურების მოთხოვნით მიმართა 240 ბენეფიციარმა. 211 მათგანს მომსახურება გაუწია ცენტრის იურისტმა, ხოლო 39 გადამისამართდა პარტნიორ ორგანიზაციებში.

---

[1] Ibid.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

### შეფასება

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით[1], იურიდიული მომსახურებით ისარგებლა 201 ბენეფიციარმა, აქედან 26 გადამისამართდა პარტნიორ ორგანიზაციებში.

---

[1] 2017 წლის 28 სექტემბრის წერილი N550

# აქტივობა 4.9.1.3. განათლების სამინისტროსთან არსებულ პროფესიულ კოლეჯებში ჩართვა

**პასუხისმგებელი უწყება:**

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

**ინდიკატორი:**

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

პროფესიული კოლეჯებიდან სერტიფიცირებული ყოფილი პატიმრების რაოდენობა;

დამატებული ინდიკატორები:

შერჩევის წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით[1], საანგარიშო პერიოდში პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართვის სურვილი გამოთქვა 128 ბენეფიციარმა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით პროფესიული გადამზადების კურსებში ყველა მათგანი ჩაერთო და კურსი წარმატებით გაიარა 107-მა.

---

[1] Ibid.

# აქტივობა 4.9.1.4. დასაქმებაში ხელშეწყობა; დამსაქმებელთა მოძიებისა და რეკომენდაციის გაწევის გზით;

**პასუხისმგებელი უწყება:**

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“

**ინდიკატორი:**

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

დასაქმებული ყოფილი პატიმრების რაოდენობა

დამატებული ინდიკატორები:

1. დასაქმების ხანგრძლივობა;
2. სტატისტიკა სექტორების მიხედვით.

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**აქტივობის შესრულების პროგრესი:** 100%

**დაწყების თარიღი:** 2016-01-01

**ბოლო ვადა:** 2017-12-31

## შეფასება

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინფორმაციით[1], საანგარიშო პერიოდში ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა 249 ბენეფიციარი.

---

[1] Ibid.